

აგრონიუს.გვ

მიხედვით მინას; მინა დაგვამურებთ და გაგათობოთ თქვენ!

+ ასა—II

Agró News

# მარტინი სამართლებო

ISSN 1987-8729



სამართლებო-საინფორმაციო ჟურნალი

№1 (69), 01 ეპლი, 2017



VALTRA UNLIMITED  
TRACTOR OF THE MONTH  
MERRY CHRISTMAS!

YOUR  
WORKING  
MACHINE

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)



2 90 50 00

info@worldtechnic.ge

2 18 18 81

გიგანტები  
მოძრავი წელი!



ტბილის  
შოთა-რევაზ! ჩურავ!



დაე, 2017 წელი ყოფილიყოს

სიუხვის, სიძლიერისა და წარმატებების მომტანი!

## ნომერი 6 თებერვალი:



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატივო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine  
იანვარი, 2017 ნელი.

№1 (69)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა გაგუშვილი (მო. რედაქტორი),  
ნუჯარ ებანიძე, რეზონ ჯაბიძე, მიხეილ  
სოხაძე, თამარ სანიძე, ნიდარ ბრეგაძე,  
ბექ გრიშვალი, გორგა ბარისაშვილი  
(მეცნიერება-მეცნიერების რედაქციის  
რედაქტორი), თამთა გვაუშვილი (ინგლ.  
კურსის რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიური მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევნ მახარობლიძე (თავმჯდომარე),  
გურამ ალექსიძე ზურ უსტარაძე,  
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუჯარ ებანიძე,  
პატა გორგაშვილი, გლეგვა მავაძე,  
შოთა ჭალაგანიძე ზურ ბრეგაძე,  
კლგვა გვაუშვილი, გოგოლა მარგავალშვილი,  
ან გულაძე, ლევა უჯმაჯიძე, ზურ  
ჯულაძე, ზურაბ ჯინჯხაძე, ქრისტო  
კანიაშვილი, ადოლ ტეტელშვილი, ნატო  
კაბაძე, გვაური ძეგა, კახა ლაშვი, ჯემალ  
კაციაძე, ნუჯარ სარკევებაძე, ინგიშ  
ჭურაშვილი, ანტოლი გორგაძე, ლევან  
თორილაძე, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კუნიომური  
კოინიტიულების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ივერიული“  
(იოურული ბაბლონება)

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო

დააკაბალნა გორგა მასურაძემ  
უურნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპთ.  
The journal acts in accordance with the  
principles of free press.  
© საქართველო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიხურდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)



6

## ახალი მინისტრის გეგმები

მიზანი მარტივია, ოჯახურ მეურ-  
ნეობას, რომელსაც საშუალოდ 3,000  
კვადრატული მეტრი მინის ნაკვეთი  
აქვს 30,000 ლარიანი წლიური შე-  
მოსავლის მიღების პერსპექტივა  
უჩნდება.



13

## გაცლილი 2016 წელი საქართველოს გადამისამართი

საქართველოს მეცნიახეობის სფე-  
როში დიდ პრობლემას წარმოადგენს  
ყურძნის მოსავლის სუბსიდირების  
საკითხი, რომელიც უკვე წლებია,  
ტვირთად ანეგს ჩვენს ქვეყანას.



28

## გარაზონის ურიობის გადაცემა სხრავების ჯამირთულობას და კრიზისის გადაცემა

ფურებს ზამთარში გაშობის წინ  
უცვლიან რაციონს, ამცირებენ ან  
მთლიანად წყვეტენ წვნიანი და კონ-  
ცენტრირებული საკების მიცემას,  
ზღუდავენ აგრეთვე წყლის რაოდე-  
ნობას.

4 ...კიდევ ერთი გარდამზადე  
ფაზისათვის

11 როგორ მივიღოთ სასამართლო  
სანარის სტატუსი

16 ელექტრიფიკაციის მოწყობის  
გარეობა

18 სოფლის გარეობა და  
ეროვნული არობაები

21 სამეცნიერო წარმომადის ესაზღადება

23 28 წლის წარმატებული აგროცემი  
და ურისები როსტოკის სისახლი

23 გავთ კითხა აგროცემის?

24 სარეალური მარკეტის და მათ  
განვითარება

26 არონიალი და კავკავი -  
ვარიაციანისა და გადისინის  
გამოწვევა

31 მასტირი შემაცველებელი

32 რევენი იდენტის გამოზღადება და  
ურისების ზოგიერთ დაკავება

34 გავთ კითხა ვალირიანობა?

35 25 წლის გარემონტი ფარგლენი  
იმპერია ჩინება

36 ლისაური მარკეტის და ვარიაციანისა  
და განვითარების მარკეტი - 80

37 სოფლის გაზიდვის კაბის  
სამართლება

38 ვაკა გარეური



# ...კიდევ ერთი გარდამზე წელიწადი

საქართველოში ქოველი ახალი წელიწადი იმპიანად იცხახა და არც ცლევანდებია გამონაკლისი. გილოცავთ!

როგორი იყო გასული, 2016 წლინადი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის, ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ჩვენ, ურნალისტებმა და ჩინოვნიკებმა რამდენჯერაც არ უნდა დავწეროთ და ვილაპარაკოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატება-წარუმატებლობაზე, მაინც მგონია, რომ ამ შრომის შედეგების საუკეთესო შემთასებელი ბაზარია, თუ რა სვდება ჩვენს მოსახლეობას დახლზე საქართველოში მოწეული, გადამუშავებული, შეფუთული და ა.შ.

ამიტომ ამ თემაზე მეტად თავს აღარ შეგაწყენთ. როგორ ცუდად ან ლამაზადაც არ უნდა დავხატო სურათი, საკუთარი თვალით ნანაზი ყველა მონათხრობზე რეალურია და აზრის შეცვლის მცდელობაც უმადურ საქმედ მიმართია.

მოდით დღეს იმის შესახებ მოგითხრობთ, რატომ თვლის სამინისტრო განვლილ წლებს გარდამტეხად და რას გვპირდება სამომავლოდ, შედეგი წლის ბოლოს განვიხილოთ.

მაშ ასე, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ლევან დავითაშვილი აფასებს: „განვლილი ოთხ წელი სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით გარდამტეხი იყო. 2014 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დარგის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა და მკაფიოდ განსაზღვრა ხედვა, რაც კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო შექმნის განვითარების შესახებ მოიხსენიერდა. მოგეხსენებათ, სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვა-

ნი პროგრამა განახორციელა. ყველა განხორციელებული და დაგეგმილი ლონისძიებით, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია შევძლოთ აგრარულ დარგში მეტი ცოდნის ხელმისაწვდომობა და წარმოების ზრდის ნახალისება, რითაც ჩვენ ხალხს კეთილდღეობას შევუძნით“, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე.

როგორც ლევან დავითაშვილმა უურნალისტებს განუცხადა, კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის სამინისტრო ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას.

## დასასული მიზნის მისაღევად განსაზღვრული შემდეგი ამოცანები:

პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტური-ანობის გაზრდა; მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება; შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოება-მოდერნიზაცია; წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; ფერმერთა ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება; საექსპორტო ბაზების დივერსიფიკაცია; დივერსიფიკირებულ ბაზებზე წვდომის ხელშეწყობა; პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტიანობის გაზრდა; სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების ხარისხობრივ და რაოდენობრივ, მათ შორის, მეხორცული და მერძე-

ული საქონლის ჯიშებისა და ნათესი კულტურების ჯიშების გაუმჯობესებას, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ამაღლებას.

## მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება, შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოვანი-მოდერნიზაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შემუშავებული პროგრამებით, ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების პროდუქტებისათვის დამატებითი ღირებულების შექმნელი ტექნოლოგიების დანერგვას; შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუტავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას.

წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან საწარმოების, მათ შორის, ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის მხარდაჭერისთვის. ყველა საწარმო, რომელიც გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამით ფინანსდება, დანერგვას ISO-22000-ს ან HACCP-ის საერთაშორისო სტანდარტის სოფლის მეურნეობის პრეტების მართვის სააგენტო სტანდარტის დანერგვის 80%-ს აზრიანსებს. აქედან 30%-ს სახელმწიფო, ხოლო 50%-ს დონორი ორგანიზაცია ფარავს, ბენეფიციარის მხოლოდ 20%-ის გადახდა უწევს. სოფლის მეურნეობის პრეტების მართვის სააგენტო „დანერგებულ მომავალის“ და პროგრამა „ქართული ჩაის“ ბენეფიციარებსაც დაეხმარება GLOBAL GAP-ის პირველადი წარმოების სტანდარტის დანერგვაში. GLOBAL GAP-ის შემთხვევაში, 50%-ს ბენეფიციარი აფინან-

სეპს, ხოლო 50%-ს დონორი (USAID/ REAP) ორგანიზაცია.

## ფინანსურირებული მიზანის და მიზანის მიზანის განვითარების ამაღლება:

სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული სამართველოებისა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების გაძლიერებით, უზრუნველყოფს ფერმერთათვის აუცილებელი ცოდნის მიწოდებას როგორც აგრონომიული და ვეტერინარული, ისე აგრობიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

## სამსახურთო გაზრდის დივერსიფიკაცია; დივერსიფიცირებულ გაზრდის წვლილი ხელშეწყობა

დრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ამიქედებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვის, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განსხილია მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, იზრდება აზიურ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოპულარობა და, შესაბამისად, ექსპორტი.

აღნიშნული ამიცანების განსახორციელებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყენებული იქნება შემდეგი ინსტრუმენტები:

ერთიანი აგროპროექტი, რომელიც გულისხმობს იაფ საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობის, აგროდაზღვევის, მექანიზაციის ხელმისაწვდომობის პროგრამებს და საგრანტო დაფინანსების სპეციალიზებულ მოდელებს.

2017 წლიდან დაიწყება ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამყოფილი შედავათიანი საკრედიტო რესურსების გამოყენებით მიზნობრივი პროგრამების განხორციელება. საინვესტიციო სესხები გაიცემა მემკენარეობის ლირებულებათა ჯაჭვში ჩართული სანარმოებისთვის. ინვესტიციების სრულად განხორციელების შემდგომ, ყოველწლიურად შეიქმნება დამატებით 100 მილიონი ლარის მოცულობის დამატებითი ლირებულება.

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სერვისების ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფისთვის, 2017 წლიდან დაიწყება მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ფერმერებისთვის ტექნიკის შეძენისა და მექანიზაციის სერვისის მიმზოდებელთა ძლიერი რგოლის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

საგრანტო დაფინანსების სპეციალიზებული მოდელების გამოყენებით: გაშენდება ახალი ბალები (პროექტი „დანერგებ მომავალი“), მოხდება არსებული ხეხილის ბალების განახლება (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პროექტი „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზრებზე წარდომა და მოქნილობა“ (AMMAR), რომელიც აქტიურ ფაზაში 2017 წლიდან შევა (პროექტის 2 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 6,5 მლნ ლარით), მოსავლის ალების შემდგომი დამზადება-გადამუშავება (გადამამუშავებელი და შემნახველი ახალი სანარმოების თანადაფინანსების პროექტი), ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება (ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“).

## ფინანსურირებული პროგრამის

განხორციელდება კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას შეუწყობს ხელს (დღესათვის, საქართველოს მასშტაბით, კოოპერატივებში მოზიდული კაპიტალი 29.2 მლნ ლარია).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესურსების გაერთიანებაში დაეხმარება საექსპორტო და დაგილობრივ ბაზრებზე მოთხოვნადი ისეთი პროდუქტების მწარმოებლებს (მათ შორის თაფლის), რომლებიც ცალკე ძალებით ვერ აქმაყოფილებენ მოთხოვნას, ხოლო გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შედეგების მიღწევა. ასევე დაგეგმილია ალტური მესაქონლეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები.



## ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

განხორციელდება სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-შენებლობის მასშტაბური პროექტები

## მარკეტინგული მხარდაჭერა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს შეუწყობს ფერმერთა აგრობაზრების და ბაზრობების, ფესტივალების (ღვინისა და ყველის) ორგანიზებას.

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მოწოდებას გაუნდეს დეგუსტაციებს, კონკურსებს, ღვინის საერთაშორისო კონფერენციებს, გამოფენების და მედია-ტურების ჩატარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2017 წლს დაგეგმილია მარკეტინგული ღვინისგებები ჩინეთში, იაპონიაში, სინგაპურში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ბელგიაში, საფრანგეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

დაგეგმილია ეროვნული მარკეტინგული სააგენტოს შექმნა, რომელიც განახორციელებს ქართული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას.

## საინფორმაციო-

## საკონსულტაციო

## სამსახურის განვითარება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს რეგიონული სამართველოებისა და მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომელთა გადამზადებას, სერვისების მარკეტინგს, რაც გაზრდის ფერმერთა მიმართვისა და მემკენარეობის ლირებულების განვითარებას. კონკურსების მიზნით, გამოყენების განვითარებას შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შედეგების მიღწევა. ასევე დაგეგმილია ალტური მესაქონლეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები.

## მოამზადა

## ჩავთარ გზავალება



### აზარის ავტომობილის ხურნეობის მინისტრი – ლაშა ქომაჩიძე

დაიბადა 1974 წლის 17 სექტემბერს, ქართველი, მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით, ჰყავს მეუღლება და ვაუი.

მშობლიური ქართული ენის გარდა ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

იგი 1997-2000 წლებში მუშაობდა სააქციო საზოგადოება: „საზღვაო ბანკის“ ანალიტიკური განყოფილების სპეციალისტად, შემდეგ საინვესტიციო განყოფილების უფროსად; 2001-2003 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე, ეკონომიკური საბჭოს მდივანი, ხაზინის უფროსი.

2004-2006 წლებში მუშაობდა შპს „გორგიას“ და შპს „დეკოს“ მენეჯერად.

2008-2016 წლებში იგი გაეროს განვითარების პროგრამის აჭარის პროექტების მენეჯერია.

2008-2011 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების, ხოლო 2011-2013 წლებში ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით.

2013-2016 წლებში მუშაობს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ენპარდ 1 და ენპარდ 2 – სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ა.რ.-ში პროგრამაში.

2016 წლის 18 ივლისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრია.

## ახალი მინისტრის გეგმები ქარი ფარები, ქარი სოფლის განვითარება, ქარი ეკონომიკა

შპე სუთი თვეს, რაც აზარის ავტომობილი რესპუბლიკის სოფლის ხურნეობის მინისტრის სავარძლებლს ლაშა ქომაჩიძე კომაჩიძი იყავებს და უკვე იკვეთება, რომ აზარის სოფლის მეურნეობაზე ხელშესახები რეფორმირების გათარება იღება. ამითომ დღეს ცერება ამ სიახლეების შესახებ მინდა მოგითხოვთ თუ რის გაკათებაა დაგეგმილი, რა აროგლებების მოგვარებას ისახავს მიზანად ესა თუ ის ღონისძიება და რა შედეგს გამოიღებს იგი მომავალში.

მაშა ასე, პირველი, რასაც ბატონი ლაშა კომაჩიძე აცხადებს, აქ მხოლოდ იმ საქმეზე გავამახვილებთ ყურადღებას, რასაც აქამდე არსებულ პრაქტიკაში ძირითადი ცვლილებები შეაქვს:

იმისთვის, რომ იოლი იყოს გაკეთებული და დაწყებული საქმეების მინიშვნელობაზე თვალის მიდევნება, თემა ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური გადლიერება;

2. სისტემური ცვლილებები სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის;

3. ახალი აგრარული ფუნქციების შექმნა / მინიჭება მუნიციპალიტეტებისთვის;

4. აჭარის სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება: 2017-2020 წლები;

### 1. აზარის სოფლის

#### ხურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება

შეუძლებელია ვისაუბროთ წარმატებულ სოფლის მეურნეობაზე, თუ მას სათავეში ძლიერი ინსტიტუტი, ჩვენ შემთხვევაში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ უდგას. რაში გამოიხატება სამინისტროს ძლიერება?

#### სამინისტროს როლი, ფუნქცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებში

სამინისტროს ძირითადი ფუნქცია და დარგში პოლიტიკის შემუშავებელი და გამტარებელი. ამ მიზნით, პირველად შემუშავდა და სექტემბერში, 2017 წლის მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვაზე წარმოდგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

სამინისტროს ძირითადი ფუნქცია და სექტემბერში პირველად შემუშავდა და სექტემბერში, 2017 წლის მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვაზე წარმოდგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას ეყრდნობა. შევიდი სტრატეგიული ღონისძიების და სამ ათეულად ქვეღონისძიებების ფარგლებში აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წლების პოლიტიკას, კონკრეტულ სამოქმედო არეალს, გეგმას და ინდიკატორებს განსაზღვრავს, რომელიც გამოიხატება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებში, ითვალისწინებს რისკებს და მათზე ზემოქმედების საშუალებებს და სრულად მოიცავს დარგის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

#### სამინისტროს სტრუქტურა და მისი ორგანიზაციული მოწყობა

სამინისტროს სტრუქტურა, მისი ცალენული ერთეულების ფუნქცია, ინტელექტუალური რესურსი, შემადგენელ ერთეულებს შორის კოორდინაცია და სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის დეტალები ძირშივე განაპირობებს სამინისტროს შესაძლებლობებს და უნარს აიღოს საკუთარ თავზე 2017-2020 წლებში დასახული მიზნების მიღწევისთვის საჭირო დატვირთვა.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ათეულების განვითარებაში ჩამოყალიბებულ ორგანიზმს, სადაც სტრუქტურული ერთეულების 70% მისი მუშაობის ტექნიკური დახმარების ფუნქციას ატარებს და მხოლოდ 30% შეადგენს ბირთვს.

ორგანიზაციულ და სტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით საჭირო აუცილებელი ცვლილებების მიზნით შემუშავებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი,

გაძლიერებული სტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს სამინისტროს შესაძლებლობებს ისეთი ახალი ერთეულების შექმნით და არსებულის გაჯანსაღებით, როგორიცაა: სოფლის განვითარების დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის პოლიტიკის და ანალიტიკის დეპარტამენტი, აგრარული განვითარების დეპარტამენტი, აგროპროექტების მართვის ცენტრი და სხვა... ახალი ორგანიზაციული მოწყობა მიმართულია სამინისტროს ძირითადი ფუნქციების განმახორციელებელი ბირთვის გაძლიერებაზე, ხოლო დამატებით მობილიზებული საკადრო რესურსი არსებულ, გამოცდილ კადრებთან ერთად იქნება ის ადამიანური რესურსი, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო 2017 წლს შეუდგება აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გამოცხადებული პოლიტიკის გატარებას.

სამინისტროს სტრუქტურული და ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებებისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავდა საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და ტექნიკურ და პროფესიულ მოთხოვნილებათა დოკუმენტი, ახალი სტრუქტურული ერთეულების დებულება, შინაგანანესი და ა.შ.

#### **სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმარების საფუძველი და ვერტიკალი**

წლების განმავლობაში სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები და ქვეპროგრამები დარგის განვითარებაში კონტრიბუციის ერთადერთი საშუალებაა. ხსენებული პროგრამების დაგეგმარება ხდებოდა საჯარო სექტორიდან დანახული საჭიროებების საფუძველზე. შედეგად, ფერმერს ჰქონდა არჩევანი ესარგებლა სამინისტროს მიერ დაგეგმილი და შეთავაზებული პროგრამებიდან ერთ-ერთით.

დღეს შევქმნით დაგეგმვის ახალი ვერტიკალი ა.მ.ა.გ.-ი. ეს არის ანალოგი „აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებისა“, რომელიც ცალკე აღებულ შემთხვევაში შედგება საშუალოდ 10-15 წევრისგან და წარმოადგენს კონკრეტული სოფლების ინტერესს. აჭარის მასშტაბით ჯამში აქტიურ ფერმერთა 46 გაერთიანება იქმნება (2017 წლის თებერ-

ვალში), რომელთა წევრებსაც თავად სოფლები ირჩევენ და ანიჭებენ უფლებამოსილებას ისაუბრონ მათი, კონკრეტული დასახლების ფერმერთა სახელით.

სწორედ ასეთი, აქტიურ ფერმერთა ჯგუფები არის 2017 წლის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის წყარო, დასაყრდენი და გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. სწორედ ისინი შეიმუშავებენ „საჭიროებების დოკუმენტს“, რომელიც საფუძვლად დაედება პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. ეს მიდგომა აბსოლუტურად ცვლის აქადეგება გამოყენებულ პრაქტიკას. მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ინიციატივების და საჭიროებების „ქვემოდან ზემოთ“, ანუ ფერმერებიდან სამინისტროსკენ დინება.

პროგრამა განხორციელების ეტაპზეა. იგი ტენდერის გზით შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიმდინარეობს. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას. მსგავსი პრაქტიკა უზრუნველყოფს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაქსიმალურ ეფექტუანობას ფერმერების საჭიროებებთან მიმართებაში.

#### **რეგიონული სამინისტროს ჰარმონიზაცია ცენტრალურ სამინისტროსთან**

2017 წლის პროგრამებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში უარი თქვა პრაქტიკაზე, როდესაც

რეგიონული პროგრამები კონკურენციაში შედიოდა ცენტრალური სამინისტროს პროგრამებთან.

ახალი მიდგომით, 2017 წლიდან აჭარა, ცენტრალური სამინისტროს, კერძოდ მისი პროექტების მართვის სააგნენტოს პროგრამულ რესურსს მაქსიმალურად გამოიყენებას. ამ მიზნით მომზადებულია რეკომენდაციების დოკუმენტი ცენტრალური სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროექტების აჭარის სინამდვილეზე უკეთესად მორგებისთვის, ისევე როგორც ახალი პროგრამების ინიცირებისთვის.

მსგავსი მიდგომა საშუალებას აძლევს აჭარის რეგიონს გაცილებით დიდი პროგრამული რესურსით ისარგებლოს, ვიდრე წარსულში.

## **2. სისტემური ცვლილებები სოფლის გაუმდვილების დარგის განვითარებისთვის აგრარული წარმოების პროდუქტის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის აწყობა**

იმის მიუხედავად, თუ რა ფინანსური რესურსი დაიხსარჯება, ან რა მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსი მიიმართება ფერმერებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის დარგის გაჯანსაღებისკენ, ყველა ამ და სხვა ტიპის ძალისხმევის ეფექტი თავს იყრის ერთ, მნიშვნელოვან წერტილში – როგორ ახერხებს ფერმერი წარმოებული პროდუქტის რეალიზაციას. ეს კიდევ უფრო კრიტიკულია





იმ მოცემულობის პირობებში, როდე-  
საც რეგიონის ფერმერული მეურნე-  
ობების აბსოლუტური ნაწილი მიკრო  
და მცირე ზომისაა, შესაბამისად ერ-  
თეული ფერმერის მიერ ნარმოებული  
პროდუქტიც რაოდენობრივად ძა-  
ლიან მცირეა და ამ თვალსაზრისით  
ბაზრისთვის საინტერესოა არ არის.  
სწორედ ნარმოებული პროდუქტის  
შეუფერხებელი რეალიზაცია არის  
ერთადერთი და ყველაზე ჯანსაღი  
სტიმულატორი ფერმერული მეურ-  
ნეობების განვითარებისთვის. დღეს  
ფერმერის მიერ ნარმოებული პრო-  
დუქტის რეალიზაცია სისტემური  
პრობლემაა და დარგის განვითარე-  
ბის შემაფერხებელია.

სწორედ ზემოთ ხსენებული სისტე-  
მური პრობლემის მოგვარების მიზ-  
ნით, სამინისტროს 2017 წლის პროგ-  
რამული ბიუჯეტის 35% რეალიზაციის  
ალტერნატიული სისტემის ჩამოყა-  
ლიბებაზე მივმართეთ. ახალი სისტემა  
ნარმოდგენილი იქნება მუნიციპალი-  
ტეტებში მომსახურების ცენტრების  
სახით, უზრუნველყოფილი ტრანს-  
პორტირებით, სადაც თავს მოიყრის  
აჭარის სოფლებში ნარმოებული  
პროდუქტი. აქვე მოხდება ამ პროდუქ-  
ტების დახარისხება, დაკალიბრება და  
თანამედროვე საბაზრო პირობების  
შესაბამისად შეფუთვა. მსგავსი სახით  
დამუშავებული პროდუქტი, საბოლო-  
ოდ, ბათუმში მოწყობილ მსხვილ ლო-  
ჯისტიკურ ცენტრში მოიყრის თავს –  
ამგვარად, შექმნის მანამდე უპრე-  
ცედენტო, უშუალოდ ფერმერთა მიერ  
ნარმოებული პროდუქტებით ვაჭრო-  
ბის საბითუმო წერტილს, რომელიც  
სრულად იქნება ფერმერთა და მათი  
გაერთიანებების განკარგულებაში.  
არსებული პრაქტიკიდან განსხვავე-

ბით მოცემული სისტემა საშუალებას  
მისცემს ფერმერს მიიღოს პროდუქ-  
ტის გასაყიდი ფასის საშუალოდ 80%,  
ხოლო გასაყიდი ფასიდან 20% უზრუნ-  
ველყოფს თავად სისტემის მუშაობის  
ფინანსურ მდგრადობას. მნიშვნელო-  
ვანია, რომ დღეს, აგრარული ბაზრო-  
ბის არსებული სისტემით, ფერმერი  
საუკეთესო შემთხვევაში პროდუქტის  
რეალიზაციის ფასის არაუმტეს 30-  
50%-ს იღებს.

რეალიზაციის ალტერნატიული  
სისტემის ფინანსურ და ორგანი-  
ზაციული მდგრადობის მიზნით შე-  
ვიმუშავეთ მისი ოპერაციული გეგ-  
მა/გზამკვლევი.

### ძირითადი მიზანი – ფერმერული მეურნეობის შემოსავლების ზრდა

2017-2020 წლების მონაკვეთზე,  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის სამინისტრომ  
ძირითად საზრუნვად ფერმერული  
მეურნეობების ფინანსური შემოსავ-  
ლების გაზრდა გამოაცხადა. კონ-  
კრეტულად, კვადრატულ მეტრზე  
შემოსავლების ზრდის ორ საფეხუ-  
რიან, 5 და 10 ლარიანი განვითარე-  
ბის პროგრამას დაედო საფუძველი.  
მიზანი მარტივია, ოჯახურ მეურნე-  
ობას, რომელსაც საშუალოდ 3,000  
კვადრატული მეტრი მინის ნაკვეთი  
აქვს 30,000 ლარიანი წლიური შე-  
მოსავლის მიღების პერსპექტივა  
უჩნდება. მნიშვნელოვანია შედარება  
დღევანდელ რეალობასთან, როდე-  
საც ფერმერული მეურნეობის შემო-  
სავალი აგრარული საქმიანობიდან  
კვადრატულ მეტრზე 1,5-2 ლარს  
არ აღემატება. მოცემული შედეგის  
მიღწევა შესაძლებელია სისტემური

მიღდგომით, კერძოდ შემოსავლების  
დიფერენცირებით: ა) სოფლის ეკო-  
ნომიკიდან და ბ) აგრარული მეურნე-  
ობიდან, სადაც აგრარულ მეურნეო-  
ბაში იგულისხმება პირველადი წარ-  
მოების ეფექტურობის გაზრდა ახა-  
ლი, მაღალპროდუქტული ჯიშების,  
მაღალშემოსავლიანი კულტურების,  
თანამედროვე აგრარული ტექნო-  
ლოგიების დანერგვის და აგრარული  
მეურნეობების დივერსიფიკაციის  
გზით, ხოლო სოფლის ეკონომიკიდან  
შემოსავლები იგულისხმება შემო-  
სავლები წარმოებული პროდუქტის  
დამუშავება/გადამუშავებით შექმ-  
ნილი დამატებითი ღირებულებიდან,  
ისევე როგორც სოფლის ეკონომიკის  
სხვა საშუალებებით, როგორიცაა,  
მაგალითად, სასოფლო ტურიზმი,  
მომსახურების სფერო და სხვა.

კონკრეტული ნაბიჯები ირივე მი-  
მართულებით გადადგმულია. აგრა-  
რული მეურნეობის ოპტიმიზაციას  
ემსახურება 2017 წლის ბიუჯეტში გა-  
ნერილი ისეთი პროგრამები, როგორი-  
ცაა მაღალეფექტიანი მრავალწლიანი  
კულტურების წარმოება (ჩანდლერის  
ჯიშის კაკალი); მაღალეფექტიანი ერ-  
თონლიანი კულტურების წარმოება (ნი-  
ორი თავისი საექსპორტო პოტენცია-  
ლით და კარტოფილის გამძლე ჯიშები)  
და სასაბურუ მეურნეობების აგრო-  
პარკის წარმოება ქობულეთისა და  
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში  
2,5 ჰექტარ ტერიტორიაზე. ამ მიმარ-  
თულებებით 2017 წლის პროგრამული  
ბიუჯეტის 52%-ია მობილიზებული.

რაც შეხება სოფლის ეკონომი-  
კის განვითარებას, აჭარის სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო, ევროპის  
სამეზობლო პროგრამა ENPARD-თან  
პარტნიორობით შეუდგა სოფლის  
განვითარების სტრატეგიის სამოქმე-  
დო გეგმის შემუშავებას. სწორედ ეს  
სამოქმედო გეგმა დაედება საფუძვ-  
ლად 2017-2020 წლების კონკრეტულ  
პროექტებს.

### აგრარული ექსტენცია

ეფექტური მეურნეობა წარმოუდ-  
გენელია აგრარული ექსტენციის  
წარმოების გარეშე. სწორედ ექს-  
ტენცია მიწოდებული აგრარული  
განათლების პარალელურად მნიშვ-  
ნელოვნად განაპირობებს როგორც  
მოსავლის პროდუქტულობას, ასევე  
ფერმერების კონკურენტულარიანო-  
ბას ბაზარზე.

აჭარას ლომის წილი აქვს შეტანილი დღეს არსებული ეროვნული აგრარული ექსტენციის სტრატეგიაში. ეს სტრატეგია დაწერილია დიდი დილად აჭარაში ENPARD-ის პროექტის სამუშაო გამოცდილების საფუძველზე, როგორც შემდეგი ნაბიჯი ეფექტიანი ექსტენციის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამ მოკლე პერიოდში შევიმუშავეთ ფერმერებთან ექსტენციის მიტანის ახალი მოდელი, რომელიც არსებულ პრაქტიკასთან ერთად კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის.

პირველად საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017 წელს განახორციელებს პრაქტიკული ექსტენციის მომსახურების შეძენას კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. ამ მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტული მხარდაჭერით შევიმუშავეთ პრაქტიკული ექსტენციის დატალური ოპერაციული პაკეტი: ა) მემცენარეობის დარგში 9 სტრატეგიული მიმართულებით (13 კულტურისთვის); და ბ) აკაკულტურების დარგში რეგიონში მოქმედი სათევზე სანაშენ მეურნეობებისთვის;

შემუშავების პროცესშია აგრარული ექსტენციის ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად შესაძლებელია აჭარა სრულად აღიჭურვოს მცირეგაბარიტიანი მეტეოროლოგიური სადგურებით. ასეთი სადგურების საშუალებით შესაძლებელია კლიმატური ინფორმაციის (მზის რადიაციული გამოსხივება, ნალექები, ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ.) მოვროვება, ციფრული დამუშავება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით და შემდგომ, კონკრეტული პროდუქტების მიხედვით ძალიან ზუსტი რეკომენდაციების ავტომატური გენერირება, თუ რომელი დაავადების და რატიპის საშიშროებების წინააღმდეგ არის საჭირო პრევენციული თუ კონკრეტული მცენარეთა დაცვის ღონისძიების გატარება. მოცემული გეგმის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია 2017 წელს.

ჩამოთვლილის პარალელურად დაწყებულია აჭარის სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის აგრარული მეურნეობის აღწერა და რეგისტრაცია „ექსტენციის პროგრა-

მულ უზრუნველყოფაში“. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მეთოდის დანერგვა დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს და მისი ავტორები სწორედ ჩვენ ვართ, ამბობს მინისტრი..

### **ციტრუსის სექტორის გაძლიერება ახალი ბაზრების მოძიების გზით**

ციტრუსი აჭარის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის სფეროა. მისი მნიშვნელობის თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ იმის თქმა კმარა, რომ რეგიონში მეციტრუსებით ჯამში 20,000 ოჯახზე მეტია დაკავებული (ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში), რაც აჭარის სოფლად მაცხოვრებელი ოჯახების 50%-ზე მეტია.

პირველად, ციტრუსის სეზონის წარმატებით ორგანიზების მიზნით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სისტემურ ღონისძიებებს ახორციელებს. კერძო:

– სეზონისთვის მზადება დაიწყო უპრეცედენტოდ ადრე – ივლისის თვეში;

– მობილიზებულია და რეგულარულად მიმდინარეობს მუშაობა:

- შემფუთავ-დამხარისხებულ საწარმოებთან; სადაზღვევო კომპანიებთან;

რნმუნებულებთან; მეციტრუსე ფერმერებთან;

– დამზადებული იქნა ორენოვანი ვიდეოროლები და ბუკლეტები აჭარის ციტრუსის გადამამუშავებელი სიმძლავრეების დემონსტრირების და პოპულარიზაციის მიზნით;

– სამინისტროს თანამშრომლები მივლინებული იყვნენ სამუშაო ვიზიტით:

ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ბელარუსში, ლიტვაში, ესტონეთსა და ლატვიაში;

– დამზადდა ორენოვანი პროდებულები, რომელიც ორიენტირებულია ექსპორტიორების მოსაზიდად (citrus.moa.ge);

– 30 ოქტომბერს ჩავატარეთ ციტრუსის პირველი საერთაშორისო ფორუმი და საინფორმაციო ტური, რომელსაც ესწრებოდა 19 მსხვილი ციტრუსის ექსპორტიორი კომპანია 8 ქვეყნიდან. ციტრუსისთვის შესაძლებელი გახდა ახალი ბაზრების გახსნა. წელს ჩვენი ციტრუსი პირველად მოხვდა ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა უზბეკეთი, ყირგიზეთი, პოლონეთი.

– შეიქმნა მსხვილი გადამამუშავებელი ქარხნების და მცირე შემფუთავი დამხარისხებების ორგანიზებული, კოორდინირებული მუშაობის



- გეზ-ის წარმომადგენლობასთან; სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო კომპანიებთან; ციტრუსის ტარა-მასალის დამამზადებლებთან;

- სასაწყობე მეურნეობების წარმომადგენლობებთან; შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და სოფლის

მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა რეგიონში, ერთი თვის განმავლობაში, 20 000 ტონაზე მეტი მხოლოდ პარაფინირებული საექსპორტო ციტრუსი დამზადდეს ევროსტან-დარტების შესაბამისად;

ციტრუსის სექტორის შემდგომი გაძლიერების მიზნით შევიმუშავეთ

აჭარის მეციტრუსეობის განვითარების სტრატეგია, რომელის თანახმადაც: 2017 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის აგროსერვისცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანირგეს გარდავქმნით მსხვილ საცდელ პლანტაციად, რომელიც 2017 წელს საშუალებას მოგვცემს 100 ჰექტრის, ხოლო რამდენიმე წელიწადში 500 ჰექტარამდე ადრეული მსხვილიარობის ციტრუსოვანთა ჯიშებით ჩავანაცვლოთ რეგიონში არსებული პლანტაციები;



– 2017 წელს დაგვამყნობთ, ხოლო  
2018 წლიდან დავიწყებთ ზემოთ  
აღნერილი პროგრამით ყოველწლი-  
ურად მინიმუმ 100 ჰექტარის ჩანაც-  
ვლებას. კონკრეტულად ეს ნიშავს  
ყოველწლიურად 3,000 ტონა მოსავ-  
ლის დაეგმბრის თვიდან ოქტომბ-  
რის დასაწყისში გადმოტანას, რაც  
ფერმერებს ციტრუსიდან მისაღებ  
შემოსავალს სულ მცირე 2,5-ჯერ გა-  
უზრდის.

3. აკალი აგრძარული  
ფუნქციების შექმნა და  
მინიჭება აჭარის  
მუნიციპალიტეტებისათვის

## მაღალმთიანი აჭარა

სულოს მუნიციპალიტეტი, ტრადი-  
ციულად, მესაქონლეობის ძირითადი  
მხარეა. მიუხედავად აღნიშნულისა  
მუნიციპალიტეტში არ არსებობს  
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის,  
ასევე რძისა და რძის პროდუქტების  
რეალიზაციისთვის აუცილებელი  
თანმხლები სისტემა.

ჩვენს მიერ მომზადებული, ცოცხალი პირუტყვის აგრარული ბაზრობა,

2017 წელს ხულოს მუნიციპალიტეტ-  
თან თანამშრომლობით განსახორცი-  
ელებელი პროგრამაა. აუცილებელ  
სტანდარტებთან ერთად ბაზრობა  
აღჭურვილი იქნება თანამედროვე  
ვეტერინარული კლინიკით და გადამ-  
ზადებული ვეტერინარებით. ცოცხა-  
ლი პირუტყვის აგრარული ბაზრობის  
მოწყობა ხულოს მუნიციპალიტეტს  
მიანიჭებს, უფრო სწორად დაუბ-  
რუნებს მესაქონლეობის ძირითადი  
ცენტრის ფუნქციას, საფუძველს ჩა-  
უყრის ხორჯის, რძისა და რძის პრო-

დღესთვების რეალიზაციის ახალ სის-  
ტემას და მნიშვნელოვნად გაზრდის  
მოსახლეობის ეკონომიკურ აქტი-  
ვობას. მეორე მხრივ, ცოცხალი პი-  
რუტყვის აგრძარული ბაზობა იქნება  
სტიმული გადამამუშავებელი მრეწ-  
ველობისათვის, ვინაიდან სთავაზობს  
ამ უკანასკნელს ხარისხიანი ნედლე-  
ულის კონცენტრირებულ ბაზას.

ცოცხალი პირუტყვის აგრარული ბაზრობის პროგრამაში ჩართვის სურვილი უკვე გამოთქვა კერძო ორგანიზაციების (სასაკლაო და ხორცის გადამუშავების მიმართულებით), დაადასტურეს რა მზაობა პროექტის განხორციელების მომენტიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შექენა მაღალმთიანი რაიონებიდან დაიწყონ.

ზემოთ აღნერილი მიმართულებე-  
ბით მიმდინარეობს მუშაობა ხულოს  
მუნიციპალიტეტთან შესაბამისი მი-  
წის ფართობის გამოყოფაზე, სადაც  
ვეტერინარული კლინიკის და აგრა-  
რული ბაზრობის მშენებლობის და  
აღჭურვის პროგრამა, სავარაუდოდ,  
დასრულდება 2017 წლის პირველ  
კვარტალში.

მნიშვნელოვანია შუახევისა და ხუ-  
ლოს რაიონებში კარტოფილის ალ-  
ტერნატიული კულტურის მოყვანის  
ხელშეწყობა. ამ მხრივ წარმატებით  
დავასრულეთ შარშან დაწყებული  
ინიციატივა ნივრის კულტურის გა-  
მოცდასთან დაკავშირებით. პირ-  
ველად ჩვენი რეგიონის ისტორიაში  
ადგილზე მონეული ნიორი ექსპორტ-  
ზე გავიდა. 2017 წლის პროგრამებით  
მაღალმთიან აჭარაში 23 ჰექტარზე  
200 ტონაზე მეტი ნივრის მოყვანა და  
ექსპორტია დაგევგმილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი  
პროგრამები განხორციელდება ხუ-  
ლოს და ქედის მუნიციპალიტეტებში.  
ასანიშნავია, რომ 2017 წლიდან მუშა-  
ობას შეუდგება 2 მილიონი ევროს ბი-  
უჯეტის მქონე პროგრამა თითოეულ  
მუნიციპალიტეტში (ჯამში 4 მილიონი  
ევრო), რომელიც კონკურეტულად ამ  
ორ მუნიციპალიტეტში სოფლის და  
სოფლის მეურნეობის განვითარე-  
ბაზე ორიენტირებულია. მოცემული  
პროგრამის განხორციელებაში აჭარის  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
მქიდროდ თანამშრომლობს ევრო-  
კავშირის და გაერთოს განვითარების  
პროგრამების წარმომადგენლობებ-  
თან საქართველოში, ასევე სხვადასხვა  
საერთაშორისო და ადგილობრივ არა-  
სამთავრობო ორგანიზაციებთან.

დაბლობი რაიონები

ქ ბ უ ლ ე თ ი ს , ხ ე ლ ვ ა ჩ ა უ რ ი ს დ ა ნ ა-  
ნ ი ლ ო ბ რ ი გ ქ ე დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ე-  
ბ ი ს მ ი ნ ი ს ც ა ლ კ ე უ ლ ი ნ ა კ ე ტ ე ბ ი შ ე-  
მ ი ს ა ვ ლ ე ბ ი ს გ ა ზ რ დ ი ს მ ხ რ ი ვ მ ე ს ა თ-  
ბ უ რ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ-  
რ ი ს ი თ უ ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი ვ ღ ა . ზ ე მ ი თ ა ღ-  
ნ ე რ ი ლ ი ა გ რ ო პ ა რ კ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს  
პ რ ო გ რ ა მა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს მ ო გ ვ ც ე მ ს ა მ  
რ ა ი მ ი ნ ე ბ ი ს ფ ე რ მ ე რ ე ბ ს ს ა მ ა რ თ ა ვ ა დ  
გ ა დ ა ვ ც ე თ ძ ვ ი რ ა დ დ ლ ი რ ე ბ უ ლ ი ს ა ს ა თ-  
ბ უ რ ე მ ე უ რ ნ ე ბ ი დ ა მ ა ღ ა ლ კ ვ ა ლ ი-  
ფ ი ც ი უ რ ი კ მ ბ პ ა ნ ი ე ბ ი ს ლ ი დ ე რ ი ბ ი თ  
(რ ა ც გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ჯ ი-  
შ ე ბ ი ს ჩ ი თ ი ლ ე ბ ი თ მ ო მ ა რ ა გ ე ბ ა ს , ა გ-  
რ ი ტ ე ნ ი კ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს მ ი ნ ი დ ე-  
ბ ა ს დ ა კ მ ნ ს უ ლ ტ ა ც ი ე ბ ს ) გ ა ვ უ ხ ს ნ ა თ  
პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა ს ა ლ ე ბ ი ს ა რ ს ე ბ უ ლ ი  
ა რ ხ ე ბ ი , ა ნ უ მ ი ვ ც ე თ მ ა თ ნ ა რ მ ე ბ უ-  
ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა რ ა ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ი  
რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა . ა გ რ ი პ ა რ-  
კ ი ა ჭ ა რ ი ს ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ბ ი ს ს ა-  
მ ი ნ ი ს ტ რ ი ს 2017 წ ლ ი ს პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს  
ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი რ ე ს უ რ ს ი ს 34%-ს შ ე ა დ-  
გ ე ნ ს დ ა პ ი რ ვ ე ლ ე ტ ა პ ზ ე 2.5 ჰ ე ქ ტ ა რ ი ს  
გ ა ს ა თ ბ უ რ ე ბ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს .

#### 4. აჭარის სოფლის მეურნეობის დარგის

**განვითარება: 2017-2020 ლევაზი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას შეგიძლიათ გაეცნოთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე: [www.moa.ge](http://www.moa.ge)

**როგორც ხედავთ, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობაში კარგად ორგანიზებული რეფორმა დაიწყო. რაც აქაური ფერმერების შემოსავლებზე დადგებითად აისახება. შესაძლებლობები რომ დიდია, ეს საკამათო არ არის. ჩვენც ინტერესით მივადევნებთ თვალს პროცესს და მკითხველსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ამომწურავ ინფორმაციას მივაწვდით.**

**მოამზადა  
ნახტან გუგუშვილება**



**კანონი და ჩვენ**

## როგორ მივიღოთ გადაღოთიანი საწარმოს სტაცია?

რას ნიშნავს გადაღოთიანი დასახლების საწარმოს სტაციას და ვის შეიძლება მიმინიჭოს? ვის უდია მიმართოს მიწარმეობა სტაციას მისაღებად და როგორი ფორმით? რა სახის საგადასახადო შეღავათობას ითვალისწინებს, „გადაღოთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი და როდის? გთავაზოგთ საკანონოდებლო სიახლეების მიმრებლებას.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი და „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტაციუსის მინიჭების, შეჩერებისა და შენკვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილება ითვალისწინებს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სპეციალურ სტაციუსს, რომლის საფუძველზეც ამ სტაციუსის მქონე სამეწარმეო სუბიექტები თავისუფლდებიან საშემოსახლო, მოგების და ქონების გადასახადით დაბეგვრისავან.

**რას ნიშნავს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტაციუსი?**

ეს სტაციუსი არის სამეწარმეო იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის გამოც იგი ექვემდებარება კანონმდებლობით განსაზღვრულ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს და მასზე ვრცელდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათები.

**ვის შეიძლება მიერიგოს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტაციუსი?**

სტაციუსი ენიჭება მეწარმე სუბიექტს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ შესაბამისი მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება სტაციუსის მინიჭების შემდეგაც.

**ვის უნდა მიმართოს მეწარმემ სტაციუსის მისაღებად და როგორი ფორმით?**

სტაციუსის მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით

(წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) მიმართავს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) პირის სარეგისტრაციო მონაცემებს (საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელწოდება, მისამართი);

ბ) საქმიანობის მოკლე აღწერას (მათ შორის, საქმიანობის სახე და განხორციელების ადგილი).

საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.



**რამდენ ხანში ხდება განცხადების განხილვა და რა სახის გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული შემოსავლების სამსახურის მიერ?**

შემოსავლების სამსახური ვალდებულია, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 60 დღის ვადაში:

ა) განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით;

ბ) უარი თქვას განცხადების ფინანსთა სამინისტროსათვის წარდ-

ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით.

სტატუსის მინიჭების შესახებ მთავრობა გამოსცემს განკარგულებას. სტატუსი მინიჭებულად ჩაითვლება სტატუსის მინიჭების შესახებ განკარგულების გამოცემის კალენდარული წლის დასაწყისიდან.

საქართველოს მთავრობის განკარგულება ეგზავნება შესაბამის მენარმე სუბიექტსა და შემოსავლების სამსახურს.

**ვის არ შეიძლება მიენიჭოს სტატუსი?**



გენაზე, რის შესახებაც წერილობით აცნობებს განცხადებელს.

თუ განცხადება წარდგენილია არასრულყოფილი სახით, შემოსავლების სამსახური ამის შესახებ წერილობით მიუთითებს მენარმეს და აძლევს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

შემოსავლების სამსახური ფინანსთა სამინისტროს არ წარუდგენს განცხადებას, თუ:

ა) მენარმე სუბიექტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) მენარმე სუბიექტის განცხადება არ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს და ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი დადგენილ ვადაში.

**რომელი სახელმიწოდო ორგანო ანიჭებს მაღალმთიანი საწარმოს სტატუსს და რა ფორმით?**

მენარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ანიჭებს საქართველოს მთავრობის მინიჭების შესახებ, რომელი და რა ფორმით გადაღების შესახებ განვითარებული წირობების და დარღვევის შემთხვევაში. ასეთ დროს შემოსავლების სამსახური არა უგვიანეს 60 დღის ვადაში შესაბამის მასალებს წარუდგენს სამინისტროს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით.

მელიც არის მთავრობის სათათბირო ინგანო.

**რა შემთხვევებში ხდება სტატუსის შეჩერება?**

სტატუსის შეჩერების მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს შესაბამისი განცხადებით (წერილობით ან ელექტრონული ფორმით) მიმართავს მენარმე სუბიექტი, თუ იგი გეგმავს შეაჩეროს ან დროებით შეჩერებული აქვს ეკონომიკური საქმიანობა.

შემოსავლების სამსახური განცხადებას წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს, მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით.

სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც გამოსცემს განკარგულებას. სტატუსი შეჩერებულად ითვლება აღნიშნული განკარგულების გამოცემის კალენდარული წლის დასაწყისიდან.

საქართველოს მთავრობის განკარგულება ეგზავნებათ შესაბამის მენარმე სუბიექტსა და შემოსავლების სამსახურს.

ეკონომიკური საქმიანობის განახლების შემთხვევაში, მენარმე სუბიექტი, სტატუსის აღდგენის მიზნით, უფლებამოსილია მიმართოს შემოსავლების სამსახურს შესაბამისი განცხადებით. შეჩერებული სტატუსის აღდგენა ხორციელდება ასეთი სტატუსის მინიჭებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

**რა შემთხვევაში ხდება სტატუსის შეწყვეტა?**

მენარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი უწყვდება:

ა) ლიცენზიის ან ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას;

ბ) მომსახურების (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა) განვეას;

გ) საქონლით ვაჭრობას, გარდა მთავრობის მიერ დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება.

მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს აღნიშნული სახის ეკონომიკური საქმიანობის ის ფორმები, რომლებზედაც გავრცელდება საგადასახადო შეღავათი. საქმიანობის სახეების განსაზღვრა უზრდა მოხდეს მთის განვითარების ეროვნული საპროექტო წარდგინების საფუძველზე, რო-

ა) შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, – მენარმე სუბიექტის მიერ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით და მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში. ასეთ დროს შემოსავლების სამსახური არა უგვიანეს 60 დღის ვადაში შესაბამის მასალებს წარუდგენს სამინისტროს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით.

ბ) მენარმე სუბიექტის ინიციატივით, – თუ მას აღარ სურს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით სარგებლობა ან შეიცვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რის

საფუძველზეც მინიჭებული ჰქონდა ეს სტატუსი.

სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფინანსთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე. სტატუსი შეწყვეტილად ითვლება შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის კალენდარული წლის დასაწყისიდან.

საქართველოს მთავრობის განკარგულება ეგზავნება შესაბამის მენარმე სუბიექტსა და შემოსავლების სამსახურს.

**რა სახის საგადასახადო შეღავა-  
თებს ითვალისწინებს კანონი და რო-  
დიდან?**

2016 წლის 1 იანვრიდან მაღალმთანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მენარმე სუბიექტები სარგებლობენ საგადასახადო კოდექსით დადგენილი შემდეგი სახის შეღავათებით:

**ა) საშემოსავლო გადასახადისაგან  
თავისუფლდება:**

– სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ ამავე საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი – სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლო-



ბაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

**ბ) მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება:**

საწარმოს (იურიდიული პირის) მიერ ამავე მაღალმთან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

**გ) ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება:**

მაღალმთანი დასახლების საწარ-

მოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთან დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

ამასთან, ეს შეღავათი არ ვრცელდება საწარმოს მიერ იჯარით, უზუფრუქით, ქირავნობით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ამ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემულ ნაწილზე).

<http://mtisambibi.ge>

## მიმღებელი



# განვლილი 2016 წელი საქართველოს მედვინების განვლილი

საქართველოს მიმღებელი არიგლებებს რა გამოივას? ამ არიგლებათა სათავეში დღევანდებ დღეს ღვინის ფალიზიკაცია და დარგობრივი ცოდნის დაპალი დონე დგას. ეს უკანასკელი არიგლება კი უკირატესად მიმღებელის სფეროს ეტყობა. უკვე ტრადიციულად გთავაზობთ განვლილი ცლის ზოგად მიმოსილებას ქართული მიმღებელისა და მედვინეობის სფეროებში. შემთხვევაში 2016 ცლის მედვინების განვლილი მიმღებელი არიგლებების საკითხების მიმდევარი არის მედვინების განვლილი მიმღებები.

ლვინის ტურიზმით დაინტერესებულ პირებს. გამოცემას ტრადიციულად თან ახლავს საქართველოს ღვინის რუკა. ავტორი – მალხაზ ხარბედია.

● მომდევნო გამოცემა, ურნალი „გიზ“-ის პროექტის ფარგლებში, გერმანიის თანამშრომლობის ინიციატივით გამოიცა. ესაა ურნალი სახელწოდებით – „ლვინის დეგუს-

დავიწყოთ მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში გამოცემული ლიტერატურით. გასული წელი ამ მხრივ გამორჩეულია, რადგან ქართულ ლიტერატურას, რაც ჯერხნობით საქმაოდ მნირია, ერთდროულად შეემატა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემა.



ტაციის სახელმძღვანელო, ღვინის დეფექტების ამოცნობა“ თბილისი, 2016. ავტორი – ინგა ფუნკე. შურნალი მკითხველს დახმარებას გაუწევს ღვინის დაგემოვნებისას მისი ხარვეზის აღმოჩენაში და მათ იდენტიფიკაციაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წელს გამოიცა ორი გამოცემა.

● ბატონი ლევან ფრუიძის წიგნი – საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია. წიგნი მეორე, მევენახეობა. ბატონი ლევან ფრუიძის წიგნის პირველი ნაწილი ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წელს გამოსცა. ქართველ მკითხველს წინ ელოდება მესამე წიგნიც. ვიმედოვნებთ, რომ მასაც მაღლევე ვიხილავთ.

● ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული მეორე წიგნია – „ქართული მარანი“, ავტორი – გიორგი ბარისაშვილი. ეს გახსლავთ მეორე გამოცემა. წიგნი პირველად 2013 წელს გამოიცა, მაგრამ მცირე ტირაჟის გამო მან ვერ დააკმაყოფილა ფართო საზოგადოების მოთხოვნა.

● მომდევნო გამოცემაა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით გამოცემული წიგნი – „ღვინის დაყენება“. პირველად ეს წიგნი 1895 წელს, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ავტორობით გამოიცა. ხუთასზე მეტგვერდიანი ეს ახალი, მეორე გამოცემა დაინტერესებული პირებისათვის უკვე ხელმისაწვდომია.

● ამავე წელს გამოიცა ორი ბროშურა, „მევენახეობა-მეღვინეობის ლექსიკონი“ და „ვაზისა და ღვინის ანბანი“. გამოცემების ავტორია გიორგი ბარისაშვილი.

● ასევე აღსანიშნავია ოქროულობისა და ანტიკვარიატის სალონ „დიადემას“ ორგანიზატორობით გამოცემული კატალოგი სახელწოდებით „მეტყველი სასმისები“, სა-დაც შესულია XVIII-XX სს ხელნაკეთი სასმისები და ღვინის ჭურჭელი. ამ საკითხს ჩვენ ცოტა ქვემოთ კვლავ დაგუბრუნდებით.

● გვაქვს ერთი ინგლისურენოვანი გამოცემაც, რომელიც ცნობილმა ღვინის მწერალმა, ქალბატონმა ელის ფერირინგმა დაწერა. ესაა წიგნი სახელწოდებით – „For the love of wine“ Alice feiring. (“ღვინის სიყვარულისათვის“). წიგნში აღწერილია ავტორის მოგზაურობა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში. უდავოდ საინტერესო იქნება ამ ინგლისურენოვანი წიგნის ქართული თარგმანიც... უნდა აღინიშნოს, რომ გამოსაცემად მზადაა ღვინის მწერლის, ქალბატონი კარლა კაპალბოს წიგნიც, რომელიც მთლიანად ეხება მის კულინარიულ მოგზაურობას საქართველოში.

● გასულ წელს ბატონმა ბონდორ კალანდაძემ გამოსცა ქართულ-რუსული წიგნი „საქართველო – ღვინის აკვანი“. საკამაოდ მოცულობით ილუსტრირებულ წიგნში ძირეულადაა განხილული XIX-XXI სს-ების ქრონიკები და ისტორია საქართველოს ვაზისა და ღვინის სფეროდან.

● 2016 წლის გამოცემების მიმოხილვის ბოლოს გვინდა შევეხოთ გასული წლის მინტურულს გამოცემულ ღვინის დიდ ენციკლოპედიას. რედაქტორ-კონსულტანტი – მალხაზ ხარბედია. 550 გვერდიანი ეს ქართულენოვანი ილუსტრირებული ენციკლოპედია ნამდვილად დიდი საჩუქრია ქართველი მკითხველისთვის.

წიგნში ძირითადად უცხოეთის მევენახეობა-მეღვინეობის სფეროებია განხილული, მაგრამ აქვე ვხვდებით ინფორმაციას საქართველოს შესახებაც (ქართული ტექსტის ავტორი მალხაზ ხარბედია). ამ სფეროში ესაა პირველი ქართულენოვანი გამოცემა და ამგვარად ის მეტად საიხტერესოა, რადგან უცხოენოვანი გამოცემები, რომლებიც ვაზისა და ღვინის სფეროში გამოიცემა, ქართველი მკითხველისათვის ძირითადად ხელმიუნვდომელია. წიგნის გამოწერა ან შეძენა შესაძლებელია ბიბლუსის მაზაზიათა ქსელში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ვაზისა და ღვინის სფეროს ყველაზე მეტად ესაჭიროება გამოცემები, რომლებიც იქნება პოპულარულ ენაზე დაწერილი სასწავლო სახელმძღვანელოების ხასიათისა, რადგან, როგორც თავში აღინიშნა, ბოლო პერიოდში აშკარად აღინიშნება ვაზისა და ღვინის სფეროში მომუშავე პირების ცოდნის დაბალი დონე.

ახლა კი თვალი გადავავლოთ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში გასულ წელს ჩავლილ მოვლენებს. ბოლო პერიოდში საკამად მრავლად იმართება ღვინის დეგუსტაციები, ლექციები, სემინარები, გამოფენები და სხვ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ზოგადი მიმოხილვის ჩარჩოები ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში მომხდარ ყველა მოვლენას ვერც დაიტევს და აქედან გამომდინარე შევეხებით მხოლოდ ძირითად საკითხებს. დავიწყოთ ახალი ღვინის ფესტივალით, რომელიც უკვე მეორე წელია, განსხვავებული ფორმატით იმართება. ღონისძიება ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანია და მასში თითქმის მთელი საქართველო მონაწილეობს. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ გამოფენაზე სულ უფრო და უფრო მეტი ტრადიციული მარანი იღებს მონაწილეობას.

ახალი ღვინის ფესტივალი, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, 2016 წელს მეშვიდედ ჩატარდა.

ასევე ტრადიციადაა ქცეული პატუმის „ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალიც“, რომელიც 2016 წელს მეცხრედ ჩატარდა. ეს ღონისძიება, რომელიც ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის

ლოცვა-კურთხევით ტარდება, მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აჭარაში ვაზისა და ღვინის კულტურა მიზეზთა გამო მეტად შეჭირვებულ დღეშია და მოითხოვს ჩვენს დიდ ყურადღებას. ამავე ფართომასშტაბიანი ღონისძიების შედეგად აჭარაში უკვე აშენდა რამდენიმე მარანი და ეს პროცესი საბედნიეროდ კვლავ გრძელდება.

2016 წელს თბილისის ექსპოჯორჯისა საგამოფენო ცენტრმა უმასპინძლა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რიგით მეცხრე გამოფენას.

შემდეგი და ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ქართულ მეღვინეობაში უდავოდ „წლის მოვლენად“ უნდა ჩაითვალოს, ესაა „ქართული ღვინის კვირეული 2016“. კვირეულის ფარგლებში, რომელიც არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც ჩატარდა, არაერთი საინტერესო ღონისძიება მოეწყო.

- კვირეული 22 სექტემბერს იყალთოს ქვევრის სკოლაში გაიხსნა.

- 23 სექტემბერს თბილისში ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკაში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა ბოლო პერიოდში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში გამოცემულ ლიტერატურას. ამავე საღამოს მოხდა გამოცემების ავტორების დაჯილდოებაც. საღამოს დასასრულს გაიმართა ღვინის დაგემოვნება.

- 24 სექტემბერს მოხდა ქეთევან სადღობელაშვილის ფილმის – „ვაზში დაკარგულების“ ჩვენება, რომელიც გაიმართა პეტრიაშვილის ქუჩაზე, ღვინის პირველ ქარხანაში.

- 25 და 26 სექტემბერს საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ ჩატარა ქართული ღვინის III ეროვნული კონკურსის პირველი და მეორე ტური, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება ჩატარდა 2 ოქტომბერს. ამავე ღონისძიებაზე მოხდა მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში განეული ღვანლისათვის რამდენიმე პირის დაჯილდოებაც.

- 28 სექტემბერს ღვინის პირველი ქარხნის სარდაფში საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება – „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“, სადაც მემარნებმა მომსვლელებს საკუთარი ღვინო შესთავაზეს.

- 29 სექტემბერს „ასოციაცია ქართული ღვინოს“ ორგანიზებით კვი-

რეულმა მარნეულში გადაინაცვლა. იქვე მოეწყო ღვინის გამოფენა და დეგუსტაცია.

- 30 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში საქართველოს ღვინის კლუბის პრეზიდენტმა – მალხაზ ხარბედიამ წარადგინა მისივე გამოცემული წიგნი „ქართული ღვინის გზამკვლევი“. აქვე ჩატარდა სხვადასხვა მწარმოებლების ღვინოების დაგემოვნებაც.

- იმავე დღეს თელავში გაიმართა ღონისძიება „თელავინო“, რომელიც ჩატარდა კახეთის მეღვინეთა გილდიის ორგანიზებით.

- 1 ოქტომბერს ღვინის ტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო ექსკურსია კახეთში, სადაც მონაწილეებმა დაათვალიერეს დიდი და მცირე მარნები, ჩატარდა ლეგციობი და მოეწყო რამდენიმე კონკურსიც.

- ღვინის კვირეულის ბოლო დღეს, 2 ოქტომბერს რიყის პარქში გაიმართა მასობრივი ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო 20-25 ღვინის სანარმო. ამავე ღონისძიების ფარგლებში ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მეღვინეობის სფეროში განეული ღვანლისათვის დააჯილდოვა რამდენიმე მეღვინე.

- 2016 წლის 11-15 დეკემბერს დედაქალაქში გაიმართა პირველი გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის სასმისები. ღონისძიება სახელწოდებით „მეტყველი სასმისები“ ოქროულობისა და ანტიკვარიატის სალონ „დიადემაში“ გაიმართა. გამოფენის დამთვალიერებლებს საშუალება პქონდათ გაცნობოდნენ, როგორც ანტიკური პერიოდის, ისე XVIII-XIX სს-ის ხელნა-

კეთ სასმისებს: აზარფეშს, ბადიას, თასს, ყანწს, კულას, ხრიკასა და სხვ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეციალურად ამ დღისათვის მაღაზია დიადემამ გამოსცა კატალოგი სახელწოდებით „მეტყველი სასმისები“.

სიმონ ჯანაშიას სახელობის სა-ქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა დავით სარაჯიშვილი-სადმი მიძღვნილი გამოფენა „ეტიკეტის ხელოვნება“. გამოფენაზე XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ღვინის 200-მდე ეტიკეტი იყო გამოფენილი. ეს 20-დღიანი გამოფენა გაიხსნა 18 დეკემბერს.

რაც შეეხება უცხოეთის გამოფენებს, სადაც ქართული მხარეცი იღებდა მონაწილეობას, ალბათ 2016 წელი რეკორდული იყო. ამგვარი გამოფენების უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგიყვანს...

შევეხოთ რამდენიმე საკითხს. სასიხარულოა, რომ საქართველოში და უპირატესად კახეთში ტრადიციული მარნების მშენებლობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ასევე ფართო ხასიათის იღებს ძველი ქართული ვაზის ჯიშების გაშენებაც. უნდა ითქვას, რომ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის განვითარებასა და ამაღლებას სწორედ ეს გარემოება შეუწყობს ხელს.

საქართველოს მევენახეობის სფეროში დიდ პრობლემას წარმოადგენს ყურძნის მოსავლის სუბსიდირების საკითხი, რომელიც უკვე წლებია, ტვირთად ანევს ჩვენს ქვეყანას. ასევე პრობლემატური საკითხია ვაზისა და ღვინის ქართული კანონი, რომელიც საჭიროებს ძირეულ ცვლილე-





ბებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ  
საკითხი განხილვის ფაზაშია.

უნდა აღინიშნოს ღვინის ეროვნუ-  
ლი სააგენტოს მმართველის გიორგი  
სამანიშვილის ინიციატივა ქვევრის  
სტანდარტის დანერასთან დაკავში-  
რებით. ამ ეტაპზე უკვე დაწერილია  
სტანდარტის სამუშაო ვერსია, რო-  
მელიც განხილვის ფაზაშია. საქარ-  
თველოს მევენახეობა-მეღვინეობის  
სფეროში პრობლემები ჯერჯერო-

ბით მრავლადაა, თუმცა, ისიც უნდა  
აღინიშნოს, რომ მათ გადასაჭრე-  
ლად ბევრიც კეთდება. სამწუხაროდ,  
ღვინის ფალსიფიკაცია კვლავ დიდ  
პრობლემას წარმოადგენს ჩვენ ქვე-  
ყანაში. ამ სენის ძირეულად აღმო-  
საფხვრელად ჩვენ წინ გვიდევს ძალ-  
ზე გრძელი და მძიმე გზა, რომლის  
ბოლოც ჯერხნობით არ ჩანს.

**მიურავი პარისავილი,**  
**მცხეთა, 2016 წ.**

## გამოცდილება

# ელექტრონული სოფლის გაურეონა

მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, რომელიც გააჩინა  
კარგად განვითარებული აგრარული სფერო, მოხმავი იგას, რომ მათ  
გადაიტანას თავისებური ტექნოლოგიური რევოლუცია. კლასიური  
ეპსტანიური მინათმოქმედება შეიცვალა ზუსტი მინათმოქმედებით,  
ზართმოდ იქანება გარიცხომაციულ ტექნოლოგიებას, მრავალოა-  
რაციულ ენერგოდამზო სასოფლო-სამუშაოები ტექნიკას, მიმართავის  
სხვადასხვა ჯიშის უსვეოსავლიანი ერთობლობანი და მრავალწლოვანი  
სასოფლო-სამუშაოების სალექციას, გამოყენა სასოფლო-  
სამუშაოები ცხოველებისა და ფრინველების მაღალაროდული ჯი-  
შები და ა.შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულთან  
ერთად ამ ქვეყნებში უმაღლეს დო-  
ნებზეა განვითარებული საინფორმა-  
ციონ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიე-  
ბის გამოყენების შესაძლებლობები  
სოფლის მეურნეობაში ანუ ფართოდ  
არის გაერცელებული ელექტრო-  
ნული სოფლის მეურნეობა, რომე-  
ლიც თავის მხრივ უზრუნველყოფს  
სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო  
კვლევებით მიღებული შედეგების  
წარმატებით გავრცელებას.

სოფლის მეურნეობაში საინფორ-  
მაციონ-საკომუნიკაციო ტექნოლო-  
გიების ფართოდ დანერგვა და გავ-  
რცელება სარგებლობის მომტანია  
არა მხოლოდ სასოფლო-სამურნეო  
პროდუქციის მწარმოებლებისათვის,  
არამედ სოფლის ტერიტორიებზე  
მცხოვრები მოსახლეობისთვისაც,  
რომლებიც არ არიან დასაქმებული  
აღნიშნულ დარგში. იგი ფერმერები-  
სათვის აგვარებს ისეთ პრობლემებს,  
როგორიცაა ცოდნის მიღება, წვდომა  
სხვასხვა ინფორმაციაზე, ელექტრო-  
ნული სწავლება და საკონსულტაციო  
მომსახურება, ფერმერული მეურნე-  
ობის საქმიანობის დაგეგმვა, სპეცია-  
ლური ყიდვა-გაყიდვის პორტალების

შექმნა. გარდა ამისა, ელექტრონული  
სოფლის მეურნეობა ხელმისაწვდომის  
ხდის სოფლის მოსახლეობის წვდო-  
მას ჯანდაციის, განათლებისა და  
ელექტრონული მმართველობის სა-  
ბაზისო მომსახურებაზე. საბოლოო  
ჯამში, საინფორმაციო საკომუნიკა-  
ციონ ტექნოლოგიების ინტენსიური  
ათვისება განაპირობებს სოფლად  
ცხოვრების დონის ამაღლებას, ქმნის  
ახალ სამუშაო ადგილებს, ამაღლებს  
ცოდნის დონეს და უზრუნველყოფს

საუკეთესო პირობებს სოფლის ეკო-  
ნომიკის საერთო განვითარებისათ-  
ვის.

ელექტრონული სოფლის მეურნე-  
ობის მიზანია სოფლის მეურნეობაში  
დასაქმებულ პირთათვის ინფორმა-  
ციის განუწყვეტლივი და შეუფერხე-  
ბელი მიწოდება გარე წყაროებიდან  
ინტერნეტის საშუალებით, დროის  
ნებისმიერ მონაცემთში გარე სამ-  
ყაროს ნებისმიერი წერტილიდან.  
მაგალითად, სინოპტიკოსების მიერ  
ფერმერებისათვის განკუთვნილი  
მუდმივად განახლებადი საინფორ-  
მაციონ მონაცემები შესაძლებელია  
ხელმისაწვდომი იყოს მთელი დღის  
განმავლობაში, ეს კი განაპირობებს  
ქიმიური საშუალებების გამოყე-  
ნების ეფექტურობას და ამასთან  
ერთად ამცირებს გარემოს დაბინ-  
ძურებას. ცნობილია გაფრთხილე-  
ბის ისეთი სისტემები, რომლებიც  
ფერმერებს ამცნობს მცენარეების



მავნებლებისა და დაავადებების  
შესახებ. თანამედროვე საინფორმა-  
ციონ-საკომუნიკაციო ტექნოლოგი-  
ებს მიეკუთვნება: საინფორმაციო  
ქსელები, მობილური ტელეფონებით  
მომსახურება და დანართი მობილუ-  
რი ტელეფონებისათვის, სტაციონარული ტელეფონები, ტელევიზო-  
რები, რადიომიმღებები, სენსორები,  
დრონები, თანამგზავრი და კომპიუ-  
ტერული ეპოქის სხვა ინვაციური  
ტექნოლოგიები.

სწორედ აღნიშნულ საკითხებს  
მიეძღვნა მიმდინარე წლის 7-9 დე-  
კემბერს ყირგზიზეთის დედაქალაქ  
ბიშკეკში ევროპასა და ცენტრალურ  
აზიაში FAO-ს რეგიონალური ბიუ-  
როს ეგიდით გამართული რეგიონა-  
ლური საკონსულტაციო თათბირი.  
იგი გახსნა ყირგიზეთის სოფლის  
მეურნეობის, კვების მრეწველობისა  
და მელიორაციის მინისტრმა ნურბეკ  
მურაშევმა. მისასალმებელი სიტყვა  
ნარმოთქვა FAO-ს ოფიციალურმა  
ნამომადგენელმა ყირგიზეთის რეს-  
პუბლიკურმა ჯორჯ კინლეიმ.

საკონსულტაციო თათბირი სამი  
დღის განმავლობაში მიმდინარე-  
ობდა.

თათბილრზე აღინიშნა, რომ ძალი-  
ან მნიშვნელოვანია ცენტრალური  
აზისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყ-  
ნებში შეიქმნას ეროვნული ელექტ-  
რონული სოფლის მეურნეობის გან-  
ვითარების სტრატეგია, რომელიც  
უნდა მოიცავდეს სამ მნიშვნელოვან  
ნაწილს: ეროვნული ელექტრონული  
სოფლის მეურნეობის კონცეფცია;  
ეროვნული ელექტრონული სოფლის  
მეურნეობის მოქმედების გეგმა;  
ეროვნული ელექტრონული სოფლის  
მეურნეობის მონიტორინგი და შე-  
ჯასება.

მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კონცეფციის შექმნაში. ამ მიმართულებით შეიძლება გამოიყოს ოთხი დაინტერესებული ჯგუფი და გამოიკვეთოს მათი როლი ამ პროცესში: პირველი – ხელმძღვანელი კომიტეტი, რომელიც დებულობს ძირითად გადაწყვეტილებებს; მეორე – აკადემიკოსები, ნამყვანი მეცნიერები და სასოფლო-სამეურნეო სექტორის სხვა წარმომადგენლები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენლები, ფერმერული ორგანიზაციების წარმომადგენლები,

ხელმძღვანელი კომიტეტის მრჩევ-  
ლები – ყველა ისინი ახდენენ ზეგავ-  
ლენას კონცეფციის შემუშავებაზე.  
მესამე – საზოგადოება, რომელიც  
ასევე ჩართულია ამ პროცესში. მას  
მიეკუთვნება ფერმერები, ფერმერ-  
თა კოოპერატივები და ასოციაციები,  
საზოგადოებრივი ჯგუფები. მეოთხე  
– ეს არის დაინტერესებულთა ფარ-  
თო სპექტრი, რომელშიც შედის სოფ-  
ლის მეურნეობის განვითარების შე-  
საბამისი სტრუქტურები (სააგენტო-  
ები და ა.შ.), აგრარული მიმართულე-  
ბის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-  
ტუტები, ფერმერთა კოოპერატივები  
და ასოციაციები, ელექტრონული  
სოფლის მეურნეობის მომსახურების  
და საინფორმაციო-საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების მიმწოდებლები,  
ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,  
საინვესტიციო კომპანიები, სოფლის



მეურნეობის საკონსულტაციო სამ-  
სახურები.

დღეისათვის აზისა და სამხრეთ  
კავკასიის სხვადასხვა ქვეყანაში  
შექმნილია პორტალები, რომლებიც  
შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაცი-  
ას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა  
მიმართულებით და წარმატებულს  
ხდის ელექტრონულ მმართველობას.  
ეს პორტალებია: სასოფლო-სამეურ-  
ნეო ტექნიკის სახელმწიფო რეგის-  
ტრაციის; შემოტანილი სურსათის  
უვნებლობის; სასოფლო-სამეურ-  
ნეო ცხოველების იდენტიფიკაციის;  
წყლის რესურსებისა და ბალანსის;  
მინათმოქმედების, ფიტოსანიტარი-  
ული უსაფრთხოების და საკარანტი-  
ნო ლონისძიებების მონიტორინგის;

დაცული პუნებრივი ტერიტორიების, ცხოველთა სამყაროს; მეცხოველეობისა და ვეტერინარიული უსაფრთხოების; მარცვლოვნების ჩამონათვალის ელექტრონული სისტემის; საკრედიტო განაცხადების შეკრებისა და დამუშავების სისტემის და ა.შ. ასეთი პორტალების არსებობის ერთ-ერთი დადგებითი მხარე ისიცაა, რომ ისინი საბოლოოდ მოაწესრიგებს სოფლის მეურნეობის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც გახდება უფრო ზუსტი და სარწმუნო, მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფალ-სიფიცირებას და აამაღლებს სურსათის უვნებლობას.

გაიმართა დისკუსია საინფორ-  
მაციო-საკომუნიკაციო ტექნო-  
ლოგიების ტექნიკურ საკითხებზე,  
რომელშიც მონაწილეობა მიიღო  
საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის

სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საინფორმაციო-ტექნოლოგიური სამსართველოს უფროსს მა გაიოზ მწეიძემ.

საკონსულტაციო თათბირის მუშაობა შეავგამა CACAARI-ის აღმას-რულებელმა მდივანმა, დოქტორმა ალიშტერ ტაშმატოვმა. მონანილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები. გამოიკვეთა შემდგომი საკონსულტაციო თათბირის ჩატარების ადგილის სავარაუდო ვარიანტები (აზერბაიჯანი, საქართველო, უნგრეთი) და თემატიკა.

ანათოლი გორგაძე,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა პარადემიის  
პრეზიდენტის მოადგილე,  
სამეცნიერო განყოფილებების  
კოორდინატორი, დოქტორი

# სოფლის მეურნეობა და ეკოლოგიური პრიზლება

მსოფლიოს მასშტაბით დღითიდღი მათულობს ეკოლოგიური პროგლო-  
ვაზე. ერთ-ერთ შემთავრებას პროგლობას წარმოადგენს გარემოს დაბინძუ-  
რება. ეს პროგლობა საძაროველოშიც აქტუალურია.

ადამიანის საქმიანობის სხვადასხ-  
ვა სფეროში, თანამედროვე ტექნო-  
ლოგიების და ტექნიკის გამოყენება,  
მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლე-  
ნას ახდენს გარემოზე. ეკოლოგიური  
პრობლემების არსებობის ერთ-ერთ  
ძირითად წყაროს ნარმოადგენს  
სოფლის მეურნეობა. უკანასკნელ  
პერიოდში, ინტენსიურ სოფლის მე-  
ურნეობაში გამოყენებული სასოფ-  
ლო-სამეურნეო და ტექნოლოგიური  
ოპერატორები, რომლებიც სრულდება  
ამა თუ იმ კულტურის გაშენების,  
მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღების,  
ნედლეულის პირველადი დამუშა-  
ვების და სხვა პროცესების დროს,  
უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ  
ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ  
გარემოზე. შეიძლება ითქვას, რომ  
სოფლის მეურნეობა ქმნის არანაკ-  
ლებ ეკოლოგიურ პრობლემებს, ვიდ-  
რე მრეწველობა, ტრანსპორტი და  
სხვა დარგები.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის  
დარგი მოიცავს დედამინის ტერი-  
ტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. გა-  
ნუწყვეტილივ მიმდინარეობს ახალი  
ფართობების ათვისება, იცვლება  
კონტინენტურის ლანდშაფტი, ინტენ-  
სიურად იყაფება ტყეები, ჯუნგლები,  
ბუჩქნარით დაფარული ფერდობები,  
მუშავდება მინდვრები და საძოვრე-  
ბი, რაც საბოლოოდ იწვევს მთელ  
რიგ ლოკალურ და რეგიონალური

მაშტაბის ეკოლოგიურ პრობლემებს.  
სოფლის მეურნეობით დაკავებული  
ფართობები ეკოლოგიური უსაფრ-  
თხოების ოვალსაზრისით არამდ-  
გრადია, ვინაიდან მათი არასწორი  
ექსპლუატაცია იწვევს ნიადაგის  
ჩარეცხვას, დამლაშებას, ქარისმიერ  
და წყლისმიერ ეროზიას. საძოვრე-  
ბის ინტენსიური, არასწორი ექსპლუ-  
ატაცია იწვევს მათ გაუდაბნობას,  
ბუნებრივი მცენარეული საფარის  
ლიკვიდაციას და სხვ. ნიადაგზე ადა-  
მიანის არასწორი ზემოქმედების  
შედეგად ადგილი აქვს შემდეგ ნეგა-  
ტიურ მოვლენები:

- ნიადაგის ეკოლოგიური სისტე-  
მის რღვევა;
  - ნიადაგში ჰაერისა და წყლის რე-  
ჟიმის გაუარესება;
  - ნიადაგის წყლისმიერი და ქარის-  
მიერი ეროზია;
  - ნიადაგის სტრუქტურის რღვევა  
და გამკვრივება;
  - ბუნებრივი მცენარეული საფა-  
რის ლიკვიდაცია;
  - წყლისა და ჰაერის დაბინძურება;
  - მცენარეების, ცხოველების და  
ადამიანების დაავადება;
- ზემოთ აღნიშნული ნეგატიური  
მოვლენების ძირითადი გამომწვევი  
ფაქტორებია:
- ნიადაგის ხენა ფრთიანი გუთნით

და სისტემატურად ნიადაგის ზედა-  
პირული გაფხვიერება;

- მინერალური სასუქების და შხამ-  
ქიმიკური ფარგლების გამოყენება;

- ფართობების არასწორი მელიო-  
რაცია;

- საძოვრების ინტენსიური ექსპ-  
ლუატაცია;

- სოფლის მეურნეობის ნარჩენე-  
ბის არასწორი გამოყენება და უტი-  
ლიზაცია;

ეკოლოგიური პრობლემების წარ-  
მომქმნელი ფაქტორების სრული  
ლიკვიდაცია შეუძლებელია, მაგრამ  
გეგმაზომიერი და კონტროლირება-  
დი მიდგომით შესაძლებელია მნიშ-  
ვნელოვნად შევამციროთ ამა თუ იმ  
ფაქტორის ნეგატიური ზემოქმედება  
გარემოზე. 1. ნიადაგის ყოველწლიუ-  
რი ხენა და ზედაპირული დამუშავე-  
ბა, მისი სტრუქტურის რღვევისა და  
ნაყოფიერების შემცირების პარარე-  
ლურად, ხელს უწყობს ქარისმიერი  
და წყლისმიერი ეროზიის განვითა-  
რებას. ქარისმიერი ეროზია არის  
ნიადაგის ნაწილაკების ინტენსიური  
გადაადგილება მიწის ზედაპირზე,  
რომელიც მიმდინარეობს 15-20 მ/წმ  
სიჩქარის ქარის მოქმედებით, რო-  
დესაც ნიადაგი გაფხვიერებულია და  
არ არის დაფარული მცენარეებით.  
ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზი-  
ის გავრცელების რაონებში აუცი-  
ლებელია ნიადაგდამცველი ღონის-  
ძიებების გატარება: თესლბრუნვის  
შემოღება, ზოლებრივი თესვა, ძლი-  
ერ ეროზირებული მიწების დაკორ-



ნულოვანი ტექნოლოგია



ფართობის ეროზია



შენამვლა ჰერბიციდებით



ზოლური მიწათმოქმედება

დება, ბუფერული ზოლების შექმნა, მრავალნიანი ბალახებით თოვლის შეკავება, ქვიშრობის გატყევება, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, აგრეთვე ნიადაგის გადაუბრუნებლად მინის დამუშავება, ნაწვერალის ზედაპირზე დატოვება და სხვ.

წყლისმიერი ეროზია შეიძლება იყოს სიბრტყითი და ხაზობრივი. სიბრტყითი ეროზია ვითარდება ნიაღვრებით ან ნადნობი წყლის ნაკადით. განსაკუთრებით საშიშია ნიადაგის ეროზია მთებში. მათი წარმოშობის მთავარი მიზეზია ტყის არასწორი ჭრა, ასევე პირუტყვის უზომო ძოვება და თოვლის ზეკავები. წყლისმიერი ეროზიის გავრცელების ზონაში აუცილებელია ნიადაგის დამუშავება და თესვა ფერდობის გარდიგარდომ, სახნავი ფენის გაღრმავება და წყლის ზედაპირული დინების შემამცირებელი სხვა ხერხების გამოყენება;

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაინერგა ნიადაგდამუშავების „მინიმალური“ და „ნულოვანი“ ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში არ გამოიყენება ნიადაგის ყოველნიური ხვნა, ზედაპირული გაფხვიერება, კულტივაცია და სხვა ნიადაგის სტრუქტურის მრღვევი ოპერაციის შესრულება. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში 3-4 წლის შემდეგ აღდგება ნიადაგის თავდაპირველი ბუნებრივი მდგომარეობა, უმჯობესდება მისი სტრუქტურა, ტენტევადობა, ჰაერი-სა და წყლის რეჟიმი, ნაყოფიერება, ჰუმუსის შემცველობა, რეგულირდება ნიადაგის სიმკვრივე და სხვ. შესაბამისად იქმნება მცენარის ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობები.

2. ამჟამად სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქების და პესტიციდების (შხამ-ქიმიკატების) მოხმარება დღითიდე იზრდება, ვინაიდან მათი გამოყენება მოსავლიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია. სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებმა, ბოლო ათეული წლების განმავლობაში, არასწორი ექსპლუატაციის შედეგად დაკარგეს ნაყოფიერება, მოხდა მათი გამოფიტვა, სტრუქტურის რღვევა და სხვა ნეგატიური მოვლენები. ამდენად აუცილებელია ნიადაგების გაუმჯობესება ქიმიზაციის გზით. ამერიკელი მცნიერების შეფასებით, მინერალური სასუქების როლი მოსავლიანობის ამაღლებაში 41%-ს აღწევს, გერმანელი სპეციალისტების მონაცემებით 50% -ს, ხოლო ფრანგი სპეციალისტების აზრით 60-70%-ს. მოსავლიანობის ზრდის პარალელურად, მინერალური სასუქების გამოყენება იწვევს ნიადაგის დაბინძურებას ბიოგენური ელემენტებით და ბალასტური ნივთიერებებით. წყალში სხნადი ბალასტური ელემენტები გამოირცხებინ ნიადაგიდან და ხვდებიან ზედაპირულ და წყალქვეშა წყლებში, წყალში უხსნადი ნივთიერებები კი გროვდება ნიადაგში და გარკვეული კონცენტრაციის მილნევის შემდეგ ხვდებიან მცენარის სტრუქტურაში, შემდეგ კი ცხოველების და ადამიანის ორგანიზმებში. ზოგჯერ მათი რაოდენობა აღნევს ტოქსიკურ დონეს, რაც იწვევს ადამიანების მონამვლას. პესტიციდები, რომლებიც თვითმფრინავების საშუალებით გაიფრქვევა ჰაერში, ქარს გადაქვს სხვადასხვა მიმართულებით, ხვდება არა მარტო ნიადაგის ზედაპირზე, არამედ მდინარეებში, წყალსაცავებში, ტბებში, და იწვე-

ვენ წყალში მობინადრე სასარგებლო ორგანიზმების: თევზების, წყალმცენარეების და სხვა ორგანიზმების განადგურებას. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ფართო მასშტაბით გამოიყენება პესტიციდების სხვა-დასხვა სახეობა:

– ჰერბიციდები – სარეველებთან საბრძოლველად;

– ალგიციდები – წყალმცენარეებთან და სხვა სარეველებთან საბრძოლველად;

– არბორიციდები – ბუჩქნარ და არასასურველ მერქნიან მცენარეებთან საბრძოლველად;

– ფუნგიციდები – მცენარის სოკოვან დააავადებებთან საბრძოლველად;

– ბაქტერიაციდები – ბაქტერიებთან და ბაქტერიულ დაავადებებთან საბრძოლველად;

– ინსექტიციდები – მავნე მწერებთან საბრძოლველად;

– ზოოციდები – მღრღნელებთან საბრძოლველად.

პესტიციდების ასორტიმენტი დღითიდე ფართოვდება, რომელთა შემადგენლობაში გვხვდება 700 – მდე ქიმიური ნივთიერება, რომლებიც მიეკუთვნება ორგანული და არაორგანული ნივთიერების სხვადასხვა კლასს. ყოველწლიურად საქართველოში შემოდის ათასობით ტონა შხამქიმიკატი და ზოგჯერ არ არის დაზუსტებული მათი შეტანის დოზები და ნორმები; მათი მოხმარება ხდება ყოველგვარი კონტროლის და წინასწარი გამოცდის გარეშე, რაც იწვევს არასასურველ შედეგებს და უარყოფითად მოქმედებს გარემოზე.



ბიოლოგიური პროდუქტი



ბიო ვენახი

3. ნიადაგის არასწორი მელიორაცია იწვევს ნიადაგის ჩარეცხვას, ხშირ შემთხვევაში მის დამლაშებას. მლაშობ ნიადაგებს ხშირად ვწვდებით ველზე, უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოებში. დამლაშებას უმეტესად იწვევს ნიადაგის ზედაპირზე ამოსული მარილი, რომელიც წარმოიქმნება ზედაპირიდან გრუნტის წყლის აორთქლების შედეგად. დამლაშების სიღრმის მიხედვით განასხვავებენ ზედაპირულად და ღრმად დამლაშებულ ნიადაგებს, მარილის შემცველობის მიხედვით – ძლიერ, საშუალო და სუსტად დამლაშებულს.

ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს დამლაშებისა და გაბიცობის პროცესი. ნიადაგში მიმდინარე დამლაშების პროცესი შესაძლოა დაკავშირებულ იქნას მარილშემცველი ქანების გამოყიტვასთან, მინერალიზებული გრუნტის წყალთან, ასევე რწყვის წორმების წესების დაუცველობასთან, რომლის შედეგადაც ფორმირდება მეორადი დამლაშებული ნიადაგები. დამლაშებული ნიადაგების აღდგენა სდება გრუნტის წყლის დონის დაწევით, ჩარეცხვით, ბალახის დათევსვით და სხვა აგროტექნიკური ლონისძიებებით. გაუდაბნოებას ხშირად იწვევს საძოვრების არასწორი ექსპლუატაცია. საქართველოს ტერიტორიაზე გაუდაბნოების საშიშროება უფრო მეტად არსებობს კახეთის შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში, თუმცა, შესაძლებელია გაუდაბნოებისადმი მერძნობიარე სხვა ტერიტორიების არსებობაც.

4. გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების არასწორი გამოყენება და უტილიზაცია. სოფლის მეურნეობაში ფართო მასშტაბით გამოყენების და გამოყენების მიზნები უმცირდება და უშემდეგდება.

სასუქები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ნარჩენები: ნაკელი, კომპოსტი, ფრინველის სკორე და სხვა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს შედარებით ადვილად დაშლად ორგანულ ნივთიერებებს. მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მინერალური სასუქების მოხმარების აუცილებლობას. ორგანული სასუქების ფართო მასშტაბით, სწორად მოხმარების შემთხვევაში შემცირდება გამოყენებული ნარჩენების რაოდენობა, გაადვილდება მათი უტილიზაცია და შესაბამისად შემცირდება ნარჩენების გარემოზე ნეგატიურად ზემოქმედების შესაძლებლობა.

მეცხოველეობის და მეფრინველეობის ნარჩენების არასწორი გამოყენების შემთხვევაში შეიძლება დაბინძურდეს ნიადაგი და მცენარე პათოგენური მიკროორგანიზმებით და სარეველების თესლით. ასევე ჭარბი ორგანული სასუქები იწვევს ნიადაგში თუთიის და რკინის შემცველობის ზრდას. ზოგჯერ შესაძლებელია ნიტრატების შემცველობის ამაღლებაც, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

5. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემების ნანილობრივ გადაწყვეტის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ბიონარმოების განვითარება, რომელიც ტრადიციული, უგნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების პარალელურად ითვალისწინებს ეკოლოგიური მოცავების გადაწყვეტასაც, როგორიცა: გარემოს დაცვა, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება, ცხოველთა მოშენების მართებული მეთოდების გამოყენება და სხვ.

მემცნენარეობაში, ბიონარმოების სპეციფიკური წესების თანახმად, გამოყენებული უნდა იქნას ნიადაგის დამუშავებისა და კულტივაციის ისე-თი მეოდები, რომელიც ხელს შეუწყობს მასში არსებული ორგანული ნივთიერებების შენარჩუნებას, დაიცავს მას ეროზისაგან და გამკვრივებისაგან. ნიადაგის ნაყოფიერების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით რეკომენდდებულია მრავალწლოვანი თესლბრუნვის, ბენეფიცი მცენარის, პარკოსნების, მწვანე სასუქების, ბიომეურნეობიდან მიღებული ნაკელის და ორგანული ნარჩენების გამოყენება. დაშვებულია სასათბურე წარმოება, მრავალწლიანი მცენარეები, მუდმივი საძოვრები, განსაზღვრულია ნიადაგში შეტანილი ნაკელის რაოდენობა და სხვ. საყურადღებოა, რომ ბიოსასუქების დამზადებამ, შენახვამ და გამოყენებამ არ უნდა დააბინძუროს ზედაპირული და მიწისზედა წყლები.

ბიომეურნეობის სწორად წარმართვის შემთხვევაში მიღებული პროდუქტები. ვინაიდან ბიონარმოებაში გამორიცხულია ძვირადლინგერი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქტები. ვინაიდან ბიონარმოებაში გამორიცხულია გამოყენება, ფერმერი იყენებს მის მეურნეობაში მიღებულ ნაკელს – ბიოპუმუსს და კომპოსტს; მავნებლების და მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ იყენებს მცენარეთა ნაყენს, ნაცარს, მარილს, კირს და ყველა იმ უსაფრთხო საშუალებას, რაც ნებადართული და დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქციის მისაღებად. ამგვარად ბიონარმოება, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარეობას პარალელურად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიოპროდუქციის მწარმოებელი ფერმერის ეკონომიკურ მდგომარეობას.

#### ლიპარ უჯამარიზე,

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, სრული პროფესორი;

#### ნუზარ გვარობია,

ტექნ. მცენარეების დოქტორი, სრული პროფესორი;

#### ოჯახ გვარობია;

სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი

# საკვების წარმოების გასაზრდელად

მხედვოლეობის დარგის განვითარებისათვის აუცილებელია შეარი საკვები გაზის შემნა, რომელიც შესაძლებელია საკვები კულტურების სწორი ზორჩვითა და განლაგებით, რაც საშუალებას მოგვცემს ფირ-მორულ მიურნეობაზე შეიძლება ინტენსიური საკვებწარმოება „საკვები თასლარუნაზის“ დანერგვით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წლიდან წლამდე მორიგეობით თესვა-მოყვანა დიდი მნიშვნელობა აქვს. თესლბრუნვის ძირითადი ამოცანაა: ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება, ნიადაგში არსებული ელემენტების რაციონალური გამოყენება, მოსავლიანობის გაზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მინდვრად სარეველებისა და მავნებელ-დაავადების შემცირება, ნაკვეთის დაცვა წყლისმიერი და ქარისმიერი ეროვნისაგან.

გამოყოფენ თესლბრუნვის სამ ძირითად ტიპს: 1. მინდვრის თესლბრუნვა 2. საკვები თესლბრუნვა 3. სპეციალური თესლბრუნვა. დაყოფას საფუძვლად უდევს თესლბრუნვაში წარმოებული პროდუქციის სახე.

საკვები თესლბრუნვები გათვალისწინებულია საქონლის საკვების სანარმოებლად. საკვები თესლბრუნვები თავისი მხრივ იყოფა ორ 1. სათიბ-საძოვრის და 2. ფერმისპრა თესლბრუნვებად. სათიბ-საძოვრის თესლბრუნვაში ჭარბობს მრავალწლოვანი ბალახების ნათესები, ხოლო ფერმისპირა თესლბრუნვებში სასილოს კულტურები, ძირსვენები, ერთწლიანი და მრავალწლოვანი პარკოსანი და მარცვლოვანი საკვები ბალახები მწვანე საკვებად.

თესლბრუნვაში მონაწილე კულტურები ისეთი თანმიმდევრობით უნდა იქნეს განლაგებული, რომ ერთმანეთს ენაცვლებოდეს სხვადასხვა ოჯახის ნარმომადგენლები, რომ არ შეექმნას ხელსაყრელი პირობები სარეველა მცენარეების, დაავადებების, მავნებლების გავრცელებასა და გამრავლებას. სწორი თესლბრუნვის პირობებში სათოხნი, მთლიანი მორიგებით არ არის გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნიადაგის სტრუქტურაზე უარყოფითად მოქმედი მექანიკური ფაქტორების შესუსტების, სარეველებისაგან მინდვრის გამოწვენდის, ნიადაგიდან წყლისა და საკვებ ნივ-

თიერებათა უფრო თანაბარზომიერი გამოყენება. თესლბრუნვაში ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესვა, რაც უზრუნველყოფს კლიმატური რესურსების: სინათლის, სითბოს და მოსული ნალექების უფრო მაღალფეხურ გამოყენებას.

საკვებ თესლბრუნვაში ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, აზოგ-ფიქსაციის გაძლიერების, საკვებში ცილების გაზრდისა და ყუათიანი საკვების მისაღებად თესლბრუნვაში უნდა გაიზარდოს ერთწლიანი და მრავალწლიანი პარკოსანი კულტურების მონაწილეობა, როგორც სუფთა ნათესის, ასევე მარცვლოვნებთან ნარევებში. ისინი რეგულარულად უნდა ენაცვლებოდეს აზოგმომხმარებელ (მაგ. მარცვლოვან) მცენარეებს. თესლბრუნვაში საუკეთესო წინამორბედის შემდეგ უნდა მოთავსდეს წამყვანი სასაქონლო კულტურები, მაგალითად მრავალწლიანი ბალახების შემდეგ უნდა დაითესოს საშემოდგომო ან საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები საგაზაფხულო თავთავიანების კარგი წინამორბედია. მთლიანად მოთესილი პარკოსანი კულტურები: ბარდა, ცერცველა, ცულისპირა და სხვა საუკეთესო წინამორბედია როგორც საშემოდგომო,

ასევე საგაზაფხულო მარცვლოვნების, ძირზენების, ტუბერინანებისა და ბალჩეულისათვის.

საკვები თესლბრუნვის სქემა უნდა შედგეს იმის მიხედვით, თუ რა სახის საკვებია საჭირო მეცხოველეობი-სათვის. თესლბრუნვაში მონაწილე კულტურები ისე უნდა განლაგდეს, რომ მაქსიმალურად იქნეს წლის განმავლობაში ფართობი დაკავებული, როგორც ძირითადი ასევე მუალედური კულტურებით. შუალედურია ის კულტურები, რომლებიც მოიყვანება ძირითადი კულტურებისაგან განთავისუფლებულ ფართობზე მეორე ძირითადი კულტურის დათესვამდე. იგი იძლევა დამატებით მწვანე მასას ან ძირსვენის მოსავალს ცხოველების საკვებად ან ჩაიხვნება ნაკვეთში, როგორც მწვანე სასუქი(სიდერატი) ნიადაგის ნაყოფიერებისა და სტრუქტურის აღდგენის მიზნით. შუალედური ნათესები მინათმოქმედების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ისინი ნიადაგს ამდიდრებენ ორგანული ნივთიერებებით, ხოლო პარკოსნები აზოტით, იცავენ ნიადაგს წყლისმიერი და ქარისმიერი ერთწლიანი აუმჯობესებენ მის სტრუქტურას და ხელს უწყობენ ნაყოფიერების ამაღლებას.

საშემოდგომო შუალედური კულტურები, რომლებიც ითესება ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში, მოსავალს იძლევიან იმავე წლის დასრულებამდე ან მთელი ზამთრის განმავლობაში მომავალი წლის აპრილის ბოლომდე (დასავლეთ საქართველოში). ეს კულტუ-



რები იყენებენ ზამთრის თვეებში მოსულ ნალექებს, ტემპერატურას, აგრძელებენ ვეგეტაციას და გვიან შემოდგომიდან მთელი ზამთრის განმავლობაში შეიძლება მინდვრიდან აღებულ და მინოდებულ იქნეს ცხოველებისათვის, როგორც მწვანე მასა, ასევე ძირხვენები თავისი ფორმით.

შუალედურ კულტურებად ძირითადად გამოიყენება შვრია, როგორც სუფთა, ასევე პარკოსნებთან ნარევის სახით, სიმინდი სასილოსედ ან მწვანე საკვებად, რაფსი მწვანე საკვებად, ძირხვენებიდან საკვები ჭარხალი და ტურნეფის. შუალედური კულტურების თესვისას მიღება დამატებითი მწვანე საკვები მეცხოველეობისათვის მაშინ, როცა მწვანე საკვების დეფიციტია ბუნებაში, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდას და რენტაბელობის დონის ამაღლებას.

თესლბრუნვაში შეიძლება გვქონდეს როგორც სუფთად ნათესი, ასევე რამდენიმე კულტურის ნარევები. ასე მაგალითად, როგორიცაა: მრავალწლიანი ბალახების ნარევები, სიმინდისა და სამარცვლე პარკოსანი (სოიას, ვიგნას, დოლიხოსის, ამარანტის და სხვა) კულტურების ნარევები. სხვადასხვა კულტურების ნარევში თესვისას მიღება მაღალხარისხის ვანი საკვები, როგორც უხეში თივის, ასევე წვინიანი სილოსის სახით. ნარევებში ერთმანეთთან შეთესილია პარკოსანი და მარცვლოვანი საკვები კულტურები, რომლებიც ამდიდრე-

ბენ საკვებს ცილებით, ცხიმებით, ნახშირნებით და იძლევან დაბალანსებულ მაღალყუათიან საკვებს.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პარობების შესაბამისად თითოეული ზონისათვის რეკომენდებულია მოთხოვნილებიდან გამომდინარე შესაფერისა საკვები თესლბრუნვების სქემები, რაც საშუალებას იძლევა ზონის შიგნით კონკრეტული პირობებისათვის, ნიადაგის თვისებების, რელიეფის და ტენით უზრუნველყოფის გათვალისწინებით შეირჩეს თესლბრუნვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კულევითი ცენტრის კუთვნილებაში არსებულ მინის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში, 21 ჰა-ზე ენერგება საკვები თესლბრუნვა, საკვები ბაზის გამტკიცების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და შუალედური კულტურების გამოყენების გათვალისწინებით, რომელშიც მონანილეობს როგორც მრავალწლიანი საკვები კულტურები (იონჯა), ასევე ერთობლენები (სიმინდი სასილოსედ, შვრია, ცერცველა, ქერი), რომლის სქემაც მოტანილი გვაქვს ცხრილ N1-ში.

თესლბრუნვის შემოღების შესაძლებლობას განაპირობებს მინათსარგებლობის პირობები-სახნავი მინების ფართობი, ნაკვეთების სიდიდე, რე-

ლიეფი, კონტურების შერჩევა და ა.შ. მთან რეგიონებში, სადაც სახნავი მიწების სიმცირის გამო თესლბრუნვის შემოღება მოუხერხებელია, უნდა განხორციელდეს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ისეთი შედარებით მარტივი საშუალება, როგორიცაა კულტურათა მონაცვლეობა-მორიგეობა, სადაც ზონაში არსებული კულტურები ერთმანეთს შეცვლის და არ მოხდება ერთიდაიგივე კულტურების თესვა ყოველწლიურად ერთდაიგივე მინდორზე (მაგალითად, 1. თავთავიანები, კარტოფილი, ერთლიანი საკვები ბალახები. 2. ერთწლიანი საკვები ბალახები, კარტოფილი. 3. თავთავიანები, სასილოსედ სიმინდი, საკვები ჭარხალი ან კარტოფილი და სხვა.), რომ მოხდეს ნაყოფცვლა და არ მოხდეს მონოკულტურის თესვა, რაც ინვევს ნიადაგის გამოფიტვას და მოსავლიანობის შემცირებას.

### ცუსუ გამოიყენები, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კულევითი ცენტრი

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ.ჭანიშვილი – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

2. შ. დევდარიანი, ზ.მახარაშვილი, ზ.ჯულუსიძე, რ.მირიანაშვილი – „თესლბრუნვები საქართველოში“ 1985წ.

### ცხრილი N1 საკვები თესლბრუნვის სქემა

	პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი	მეოთხე წელი	მეხუთე წელი	მეექვსე წელი	მეშვიდე წელი	მერვე წელი
1	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერალზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	იონჯა 1 წლის
2	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერალზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის
3	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერალზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის
4	საშ. ქერი ნაწვერალზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერ-ზე სიმინდი სასილოსე
5	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერ-ზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე
6	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერ-ზე სიმინდი სასილოსე	შვრიანარევი ცერცველა ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილოსედ სიმინდი სასილოსე
7	სიმინდი სასილო იონჯის თესვა აგვისტოში	იონჯა 1 წლის	იონჯა 2 წლის	იონჯა 3 წლის	საშ. ქერი ნაწვერ. სიმინდი სასილოსე	შვრიანარ. ცერცვ. ნაწ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილ. სიმინდი სასილოსე	სიმინდი სასილ. იონჯის თესვა აგვისტოში

რუპრიკას უძღვება „ორგანიკული ფირმები“

## 28 ცლის წარმატებული აგროცომი და ფერმერი როსტომ სესიავილი

28 ცლის წარმატებული აგროცომი და ფერმერი როსტომ სესიავილი გვარდის რაიონის თესახურება. პირ კიდევ გავშვილებიდან როგორც და-ისეთ აროზესიას დაუფლებოდა, რომითაც საკუთარ სოფელსა და რაიონი მიმდინარეობას უზრდის იტვილობდა.

მისი ოჯახი ფერმერული საქმიანობით იყო დაკავებული, შესაბამისად, გაიზარდა ისეთ გარემოში, სადაც ხშირად საუბრობდნენ საქართველოს აგრარული ქვეყნის პოტენციაზე. თუმცა, მიიჩნევდა, რომ პერსპექტივა ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე არ გვექნებოდა. მან საკუთარი როლი სწორედ აქ დაინახა და აირჩია პროფესია – აგრონომი. სტუდენტობისას საკუთარ სოფელ გავაზში მცირე უფასო კონსულტაციებს გასცემდა, ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე კი აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთო. პარალელურად სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელა.

დღეს ის ემსახურება როგორც მსხვილ აგროკომპანიებს, ისე – მცირე ფერმერებს. ჩართულია სხვა-დასხვა აგროპროექტში. ყვარელში აგროტურიზმის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი მასაც მიუძღვის. როსტომი გაეცნო ამერიკის, ჩინეთისა და ევროპის ქვეყნების აგრომილნევებს და ტექნოლოგიებს, რომელთა დანერგვასაც ყოველდღიურ საქმიანობაში ცდილობს. მისი მიზანია, ყვარელში მეტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი იწარმოებოდეს და მისი ძალისხმევაც აქეთაა მიმართული. როსტომი საკუთარ რაიონში წარმატებულ და შემოსავლიან კადრად ითვლება, თუმცა, ფიქრობს,



რომ პროფესია აგრონომის პოპულარიზაციისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო, რადგან ქვეყანას დღეს სწორედ აქ უჭირს.

აირჩიე პროფესია აგრონომი და არგე შენს ქვეყანას!

### ვარგარის გვარი

რუპრიკას უძღვება „ორგანიკული ფირმები“

## ჩამოთ პირს აგროცომით?

მოგვიხარით ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: [info@agro.ge](mailto:info@agro.ge)  
ასაუს მიმღებთ შურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. რა სტრუქტული ფარმაცევტი ახდენს გავლენას ვაზის მოსავალზე?

მეტად საშიშია გაზაფხულის წაყინვები, ყინვა, სეტყვა, გვალვა, ქარები და სხვა.

რა აგროტექნიკური დონისძიებები უნდა განვახორციელოთ უარყოფითი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად?

ვაზის ყვავილედები და ყლორტები შეიძლება დაიღუპოს გაზაფხულზე  $-0,6^{\circ}\text{C}$ -ზე. წაყინვებს თუ წინ უძღვის თბილი ამინდები, მაშინ ტემპერატურის დაცემა  $-1,1^{\circ}\text{C}$ -მდე ანადგურებს მწვანე ყლორტს. თუ ცივ ამინდს წაყინვები მოჰყვა, მაშინ ტემპერატურის დაწევა  $-3,3^{\circ}\text{C}$ -მდე იწვევს მწვანე ყლორტების მთლიანად განადგურებას.

წაყინვების წინააღმდეგ იყენებენ ზედაპირულ მორწყვას, გვიან გასხვლას.

მოსავლის რაოდენობა ასევე დამოკიდებულია ჯი-

შებზეც. ის ჯიშები, რომლებიც მსხმოიარობენ არა მარტო ძირითად კვირტებზე, ასევე მძინარა კვირტებიდან განვითარებულ ყლორტებზე. მიუხედავად საგაზაფხულო წაყინვებისა შეიძლება მოსავლის მიღება. ასეთი ჯიშებია საფერავი, ჩხავერი, ოჯალები, თავკვრი და სხვა.

### ზამთრის ყინვებით დაზიანება

საქართველოში ყინვები მცირეა, მაგრამ კახეთისა და ქართლის რეგიონებში დაფიქსირებულა.

$-15^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურის დაცემა იწვევს მოზამთრე კვირტების სრულ განადგურებასა და შტამპის მოყინვას. შტამპი თუ მთლიანად მოყინულია, მაშინ იყენებენ საძირედან ამონაყარს და შემდეგ უნდა გადავამყნოთ. შტამპი თუ გადარჩა, მაშინ ერთნლიანი ნაზარდები ეჭრება, ხდება შტამპიდან გამოტანილი ყლორტების დანორმება.

### სეტყვა

კახეთსა და ქართლში ხშირია სეტყვისაგან ვაზების დაზიანება. სეტყვის შემდეგ უნდა მოვაცილოთ დაზიანებული ფოთლები და რქები. უნდა ჩავატაროთ ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ ვაზის დამუშავება. ვაზი ისე თუ დაისეტყვა, რომ მწვანე ნაწილები არ შერჩა, მაშინ სანაყოფები რქები უნდა შემოკლდეს, რათა გამოვიწვიოთ მძინარა კვირტების განვითარება. დასეტყვა თუ ყვავილობის შემდეგ მოხდა, მაშინ სანაყოფები რქებს ვამოკლებთ, ზედა ყვავილედის ზემოთ ვტროვებთ ერთ მუხლს, დანარჩენი ეჭრება.

თუ სეტყვის შედეგად დაზიანება დიდი არ არის, მაშინ მარტო დაზიანებული რქები გაისხვლება, დანარჩენი ხელუხლებელი რჩება. დასეტყვილი ვენახები მოითხოვს 2-3 ჯერ ფურჩქვის წინააღმდეგ ბრძოლას.

### 2. როდის ჟაიძლება ჩატარდეს ხეხილის სხვლა?

გასხვლა შეიძლება ზამთრში ანუ მცენარეთა მოსვენების პერიოდში და ზაფხულში – ვეგეტაციის პერიოდში. გასხვლა იწყება ფოთოლცვენის შემდეგ და გრძელდება კვირტების დაბერვამდე. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ხშირია საგაზაფხულო წაყინვები, ამიტომ გარგარი და ატამი შეიძლება ვეგეტაციის დაწყების შემდეგაც გაისხლას.

### 3. რაზომ მიმართავინ სხვლა-ფორმირებას?

სხვლა-ფორმირების მიზანია მცენარის ფორმირება, ზრდის რეგულირება, მსხმოიარობის და განათების გაუზრუნებელი ფერების შემცირება.

### 4. რომელია ტრის ძირითადი გავრებლები?

ცნობილი მავნებლებია გირჩის ალურა, თხილის ცხვირ-გრძელა და სხვა.

გირჩის ალურა აზიანებს ნაძვის, ფიჭვის, კედარის, სოჭის გირჩებს. პეპლები კვერცხებს დებენ გირჩის ფუძეში. დაზიანებული გირჩები ცვიგა. გირჩის ალურას ერთწლიანი გენერაცია ახასიათებს.

### 5. რომორ ვაპრძოლოთ გავრებლებს?

საჭიროა გირჩების შეგროვება და დაწვა მატლების ნიადაგში გადასხვლამდე. ივნის - ივლისში მცენარეები უნდა დამუშავდეს ბიოპრეპარატებით.

თხილის ცხვირგრძელა ერთ-ერთი გავრცელებული და საშიში მავნებელია. იგი გავრცელებულია ყველა რაიონში, სადაც თხილს ანარმოებენ. ის აზიანებს კვირტებს, ფოთლებს, ნაყოფებს. დაზიანებული ნაყოფი ცვიგა. მატლი იზამთრებს ნიადაგში.

### 6. პრძოლის რა გეოგრაფიული გავრებლები გავრებლის წინააღმდება?

ჩამოცვენილი ნაყოფი უნდა შეგროვდეს და დაიწვას. გაზიაფხულზე ხოჭოების კვების დროს გამოვიყენოთ საქართველოში ნებადართული პესტიციდები.

## სასარგებლო ინცორმაცია

# სარეველა მცენარეები და მათი გავრებლობა

სარეველას მიერთებოდა მცენარეები, რომლებიც ისტორიულად დაკავშირდებული კულტურულ მცენარეებთან, მეურნის სურვილის საწინააღმდებროდ არის ამოსული და მის მიზანებს არ შესაბამისია, მიუხედავად ამისა, თავის ზოდა-გავითარების აროვესში მონაცილეობაზე სახეობათა შორის პრძოლაში და ჩაგრძავები კულტურულ მცენარეებს.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების მრავალფეროვნება მძიმე ტერიტორიად ანევს სოფლის მეურნეობას და მათ მიერ მიყენებული ზარალი მზიშვნელოვანია. სოფლის მეურნეობაში მიყენებული ზარალი პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს:

პირველი – ცხოველების დავადებებით გამოწვეული, მეორე – მცენარეთა ავადმყოფობებით, მესამე – მავნებლობით, მეოთხე კი – სარეველა მცენარეებით.

სარეველებით მიყენებული ზარალი ზოგიერთ შემთხვევაში აღემატება დანარჩენი სამი ჯგუფის

რომელიც ძირითადად სიცოცხლისათვის აუცილებელი სამი ფაქტორით: წყლით, სინათლით და საკვებით გამოიხატება.

სარეველები ნიადაგიდან ბევრ ტენს მოიხმარებ, ვიდრე კულტურული მცენარეები. კერძოდ, ნაცარქათამა 1კგ. მშრალი ნივთიერების შესაქმნელად ხარჯავს 801 ლ. წყალს, ქუთქუთა – 1000 ლ, მხოხავი ჭანგა-



მავრთულა ჭია –  
Elateridae



შესენის ბუზი –  
Mayetiola destructor



შვედური ბუზი –  
Oscinella pusilla



შემოდგომის ხვატარი – *Agrotis segetum* Schiff  
შემოდგომის ხვატარის პეპელა და მატლი.



ბარდის ბუგრი –  
*Acyrthosiphon pisum*



მდელოს ფარვანა –  
*Loxostege sticticalis*

1683 ლ. ხორბალი 1 კგ. მშრალი ნივთიერების შექმნისთვის ხარჯავს 515 ლ. შვრია – 570 ლ. ფეტვი – 250 ლ.

ასევე სარეველა მცენარეებს ნიადაგიდან დიდი რაოდენობით საკვები ელემენტები გამოაქვთ.

ასე მაგალითად, ბოლოკურას 1 კილოგრამი მშრალი ნივთიერების შესაქმნელად გამოაქვს 1,85% აზოტი, – 0,78% ფოსფორი, – 1,3% კალიუმი, – 1,81% კალციუმი.

მხოხავ ჭანგას 1 ჰექტრიდან გამოაქვს 48,6 კგ. აზოტი, 31 კგ. – ფოსფორი და – 68 კგ. – კალიუმი.

მინდვრის ნარს გამოაქვს: 138 კგ. აზოტი, 31 კგ. – ფოსფორი, – 117 კგ. – კალიუმი; ღიფას – 67 კგ. – აზოტი, 29 კგ. – ფოსფორი, 160 კგ. – კალიუმი.

ავსანფოთლიანი ამბროზია 1 კგ. მშრალი მასის შესაქმნელად მოიხმარს 948 ლ. წყალს, ამასთან ერთად ნიადაგიგან გამოაქვს 15,55 კგ. აზოტი, 1,8 კგ. – ფოსფორი.

ხორბალს 1,5 ტონა მარცვლის მოსავლის დროს ჰექტრიდან გამოაქვს – 46 კგ. აზოტი, – 22 კგ. ფოსფორი და – 28 კგ. – კალიუმი. როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, სარეველა მცენარეების უფრო ძლიერად აღარიბებენ ნიადაგს საკვები ელემენტებისაგან, ვიდრე კულტურული მცენარეები.

გარდა იმის, სარეველა მცენარეები ნარმოდგენენ სასოფლო-სამე-

ურნეო კულტურების მავნე მწერების დროებით საკვებ საშუალებას და საცხოვრებელ ადგილს. ისინი ხელს უწყობენ კულტივირებული მცენარეების სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების გავრცელებას. ასე მაგალითად, ხვართქლა ხელს უწყობს შემოდგომის ხვატარის გავრცელებას.

წიწმატურა თავშესაფარს აძლევს ბარდის ბუგრს.

შალგი, ბოლოკურა და სხვა ჯვარედინ-დამტვერავი ოჯახის წარმომადგენლები ხელს უწყობენ მინის რწყილების, ჭარხლის ბაღლინჯოოს, მდელოს ფარვანას გავრცელებას.

კოლორადოს ხოჭო დროებით ცხოვრობს ძალლყუძენას სახეობებზე.

შაქრის ჭარხლის ნემატოდა შაქრის ჭარხალზე გადადის ნაცარქათამასა და სხვა სარეველა ბალახებიდან.

მხოხავი ჭანგა ხელს უწყობს მავთულა ჭიის გავრცელებას.

მარცვლოვანი სარეველების ფევებზე ეკერცხებს დებენ *hesenisi-Mayetiola destructor* და შვედური ბუზები *Oscinella pusilla*.

მარცვლეული კულტურების სოკოვანი დაავადებების (მაგალითად გუდაფშუტა) კერებია მხოხავი ჭანგა, გლერტა და სხვა მარცვლოვანი სარეველა ბალახები.

სარეველების მიერ მოსავლის ხარისხის გაუარესება გამოიხატება მრავალი მიმართულებით. კერძოდ, ფევილში ისეთი სარეველა მცენარეების გაჩენით როგორიცაა: ჭიოტა, ღვარძლი, ლენცოფა, მნარა. მინდვრის მდოგვის უმნიშვნელოდ მცირე რაოდენობის თესლის მოხვედრა უვარვისს ხდის ამ პროდუქტს სასურსათოდ და საკვებად გამოსაყნებლად, ვინაიდან მათი თესლი შეიცავს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს.

ხეიარა სარეველები (ხვართქლა, ყანის ჭლექი და სხვა) ხელს უწყობენ ნათესის ჩანოლას, რაც ართულებს კომბაინით მოსავლის აღებას და ინვეგს დიდი რაოდენობით მოსავლის დანაკარგს.

ყვითელი ძიძო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების დროს ხშირად იწვევს კომბაინის დანების გაფუჭებას. სარეველების მწვანე მასა აგრძელებს მოსავლის აღების ვადებს.

მაღალლეროიანი სარეველა მცენარეები (ლიჭას სახეობები, ნარი, ნაცარქათამა და სხვა.) ჭედავენ კომბაინების სამუშაო ორგანოებს, ამცირებენ მათ წარმოებას.

**ზურაბ გილანიშვილი,  
გოგა გვარიშვილი,  
ზენეპა სარალიძე,  
ირალი გილანიშვილი**



მინის რწყილი – *Halticinae*



ჭარხლის ბაღლინჯო –  
*Poecilocapsus cognatus* Fieb



კოლორადოს ხოჭო –  
*Leptinotarsa decemlineata*



ჭარხლის ნემატოდა –  
*Heterodera schachtii*

# პრიონული დავაზებები - ვაცარისარისა და გედიცინის გამოწვევა

ისტორიული ცენტრი, თანამედროვე მედიცინისა და ვაცარისარის ერთ-ერთი უძველესი პრიონული პრიონული არატოლოგია პრიონული დავაზებები – აღამიანებისა და ცხოველების ლეფალური ნეიროლოგია ნერვული პრიონული პრიონული გამოწვევის ეპსტრიული მასა 33-35 KD-ს შეადგენს. უჯრედული პრიონული მოლეკულა დაახლოებით 254 ამინომჟავისგან შედგება, რომელ-საც 22-წევრიანი N-ტერმინალური სასიგნალო ფრაგმენტი გააჩნია.

დაინტერესება პრიონული დავაზებების მიმართ დაკავშირებულია დიდ ბრიტანეთში მსხვილი რქოსანი პირუტყვის ღრუბლისებრი ენცეფალოპათიის მასობრივ გავრცელებასთან, რასაც მოჰყვა კრეიტცელდეტ-იაკობის დაავადების „ახალი (ატიპიკური) ფორმის“ აღმოცენება ადამიანებში და მისი ზავისებრი გავრცელება დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში.

მეცნიერების პრიონული ნოზოლოგიებით დაინტერესება განაპირობა ე.წ. „დუნე“ ინფექციების შესწავლამ, რაც B.Sigurdsson-ის სახელთან არის დაკავშირებული. B.Sigurdsson-მა 1954 წელს ინგლისში წაიკითხა ვრცელი მოხსენება საკუთარი ხანგრძლივი დაკვირვებების შესახებ, რომელიც ეძღვნებოდა 3 ნოზოლოგიის შესწავლას. ნოზოლოგიათა შორის მოხსენიებულია ცხვრის მეტად მძიმედ და ხანგრძლივად მიმდინარე პრიონული დაავადება – სკრეპი. დამუშავებული მასალების საფუძველზე B.Sigurdsson-მა შემოიღო ცნება „დუნე“ ინფექციებზე და მათ ძირითად კრიტიკულებზე. D.C.Gajdusek, V.Zigas 1957 წ. და სხვა მკვლევარებმა ახალი გვინეის აღმოსავლეთ ნაწილში – ფორეს ენობრივ ტომში აღწერეს თვისობრივად ახალი დაავადება, რომელიც კურუს სახელწოდებით იყო ცნობილი. შემდგომ მათ შეისწავლეს კრეიტცელდეტ-იაკობის დაავადება და დაადგინეს მისი ინფექციურობა. სწორედ კურუს შესწავლისას საბოლოოდ ჩამოყალიბდა ადამიანის ტრანსმისიის უნარი გააჩნია და წარმოადგენს უჯრედების მემბრანაზე არსებული ნორმალური პრიონ-პრიონების კონფორმაციულად შეცვლილ ვარიანტს.

იბარა“, რომელმაც 1982 წელს ჩამოაყალიბა პრიონული თეორია და დაადგინა, რომ სპონგიოზური ენცეფალოპათიების აღმძვრელები ცილისმაგვარი ინფექციური ნაწილაკებია, რომლებსაც პრიონები უწოდა. 1985 წელს C.Veissman-მა და მისმა თანამშრომლებმა გამოყვეს და შეისწავლეს პრიონული პროტეინის მაკოდირებელი გენი, რომელიც ადამიანის მე-20 ქრომოსომაში იყო ლოკალიზებული. მოგვიანებით შესწავლილ იქნა ძუძუმშროვრების და ფრინველების ჰომოლოგიური გენები.

პრიონების პუნქტი, სტრუქტურა და მოქმედების მექანიზმი. პრიონი სრულიად ახალი ტიპის ინფექციური აგენტია, რომელიც „პატრონი“ – ორგანიზმის კონფორმაციულად შეცვლილი ცილოვანი მოლეკულაა. დღემდე ცნობილი ინფექციური აგენტებისაგან განსხვავებით, ისინი არ შეიცავენ გენეტიკური ინფორმაციის მატარებელ ნუკლეინის მუჟვებს. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ დაავადების გამომწვევია პათოგენური პრიონ-პროტეინი, რომელსაც ტრანსმისიის უნარი გააჩნია და წარმოადგენს უჯრედების მემბრანაზე არსებული ნორმალური პრიონ-პრიონების კონფორმაციულად შეცვლილ ვარიანტს.

უჯრედული პრიონების სხვადასხვა ტიპის უჯრედების მემბრანებზე ექსპრესირებულ სიალო-გლიკოპროტეინებს წარმოადგენენ, რომელთა მოლეკულური მასა 33-35 KD-ს შეადგენს. უჯრედული პრიონული მოლეკულა დაახლოებით 254 ამინომჟავისგან შედგება, რომელსაც 22-წევრიანი N-ტერმინალური სასიგნალო ფრაგმენტი გააჩნია. უჯრედული PrPC-ს არსებობა დადგენილია მრავალი სახეობის ძუძუმნოვარაში, ფრინველებსა და უმდაბლეს ეუკარიოტებში. ამასთან, გენი, რომელიც ახდენს PrPC-ს კოდირებას, ლოკალიზებულია მხოლოდ ერთ ეკზონში. ადამიანებში აღნიშნული გენი იმყოფება მე-20 ქრომოსომაზე. მისი სტრუქტურა 3 ალფა, 2 ბეტა – ჯაჭვისა და მათი დამაკავშირებელი დისულფიდური ხიდაკით არის წარმოდგენილი. ნორმალური პრიონული მოლეკულა მუდმივად განიცდის განახლებას და მისი ნახევარდაშლის პერიოდი 5-6 საათია.

პრიონების პათოლოგიური მოლეკულები უჯრედული პრიონ-პროტეინების კონფორმაციულად შეცვლილი ფორმებია, რომელთა არქიტექტურაში ჭარბობს ნაკეცფენოვანი სტრუქტურა (43%-ზე მეტი, ნორმალური იზოფორმისაგან განსხვავებით, რომელშიც 3%-ს აღნევს). აღნიშნული უზრუნველყოფს მათ არნახულ მდგრადობას ექსტრემალური ფაქტორების ზემოქმედების მიმართ. ისინი უძლებენ დუღილს, გამოშრობას, გაყინვას, რადიაციულ და მაიონიზირებელ ზემოქმედებას, ქიმიური რეაგენტების – სპირტის, ფორმალ-



სურ. 1. ფატალური უძლილობა

დეპიდის, მუავების ზეგავლენას. პრიონები ბუნებაში არსებულ ინფექციურ აგენტებს შორის ყველაზე მაღალი მდგრადობით ხასიათდებიან.

პრიონული დაავადებები უნიკალური თავისებურებებით გამოირჩევიან, რაც ერთდროულად ინფექციური და გენეტიკური ხასიათის ბუნებაში აისახება.

პრიონების პათოგენურ მოქმედებას საფუძვლად უდევს ზოგადი-ოლოგიური მნიშვნელობის მქონე თვისება – ცილის მეორეული და მესამეული სტრუქტურის კონვერსია, რასაც თან ახლავს მათი ფუნქციონირების ძირული ცვლილება. ასეთი სტრუქტურული გარდაქმნა უზრუნველყოფს იმას, რომ სასიცოცხლო დანიშნულების მქონე პროტეინები სიკვდილის განმსაზღვრელ ცილებად გარდაიქმნებიან. ნორმალური პრიონული ცილის (PrP) გადასვლა ინფექციურ ფორმაში (Pr<sup>sc</sup>) პოსტგრანს-ლაციური მოდიფიკაციის პროცესია, რაც მათი ფიზიკური ურთიერთქმედების პირობას წარმოადგენს. მისი პათოლოგიური და უჯრედული ფორმების პომოლოგიურობა პრიონული დაავადებების სახეობრივი ბარიერის არსებობას განსაზღვრავს.

პათოლოგიური პრიონის ნებისმიერი გზით მოხვედრისას, ინფექციური აგენტი თავდაპირველად იმუნურ ორგანოებში – ნუშისებრ ჯირკვლებში, თიმუსში, ლიმფურ კვანძებში და, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, ელენთაში გროვდება. მეცნიერული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ დიფერენცირებული ბ-ლიმფოციტები მონანილეობები პრიონულ ნეიროინვაზიაში. ალიმენტური გზით დასწრებოვნებისას პრიონები წვრილი ნაწლავების პეიერის ფოლაქებიდან სხვა ლიმფოიდურ ქსოვილებში გადადიან. ლიმფოიდური ქსოვილებიდან პრიონული პროტეინები ნეირონების აქსონებამდე აღწევნ, რომელებშიც ისინი ნეირონების ნორმალური კომპონენტების ხარჯზე საკუთარი ასლების რაოდენობრივ ზრდას განაპირობებს. პრიონების პათოგენური ვარიანტები აქსონების გასწრივ ანტეგრადულად ტრანსპორტირდებიან და კრიტიკული კონცენტრაციების მიღწევისას თავდაპირველად ზურგის ტვინში, მოგვიანებით კი – თავის ტვინში მოხვედებიან. აღსანიშნავია, რომ ტვინში პრიონების გადატანა ჰემატოგენური გზითაც ხორციელდება, თუმცა, პრიონულ სისხლში



სურ. 2. სკრეპით დაავადებული ცხვარი

დაავადების მძიმე პრიონდებიაც კი ცვლილებები არ აღინიშნება. თავის ტვინში Pr<sup>sc</sup> უჯრედშიგა დაგროვება და მისი შემდგომი ოლიგომერიზაცია ნეირონების ღრუბლისებრი დისტროფის, ნეირონების კვდომისა და ასტროციტული გლიოზის საწინდარია. პრიონული დაავადებების ხანგრძლივი მიმდინარეობის დროს ყველაზე მეტად გამოხატულია ნეირონების რიცხვის შემცირება და ვაკუოლიზაცია, რასაც თან სდევს სპონგიოზური სტატუსის ჩამოყალიბება და თავის ტვინის ციტოარქიტექტონიკის სრული გარდაქმნა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტვინში ნეირო-დეგენერაციული პროცესების განვითარებას ანთებითი რეაქციების ჩამოყალიბება არ სდევს, რაც ნეირონების აპოპტოზური ლიკვიდაციით ახსნება.

დღეისათვის ცნობილია პრიონებით გამოწვეული დაავადებების (პრიონპათიების) 2 ძირითადი ჯგუფი: ტრანსმისიური ღრუბლისებრი ენცეფალოპათიები და ჩანართების მქონე პრიონ-ასოცირებული მიმპათიები. ადამიანის ტრანსმისიული სპონგიოზური ენცეფალოპათიები შემდეგ ხოზოლოგიურ ერთეულებს მოიცავენ: კრეიტცფელდტ-აკობის დაავადებას, კურუს, გერსატმან-შტრაუსლერ-შაინკერის სინდრომს, ფატალურ იჯახურ უძილობას (სურ. 1), ამიოტროფულ ლეიკოსპონგიოზს (მიოტრის დაავადებას) და სხვ.

ცხოველთა პრიონული დაავადებებიდან აღწერილი და შესწავლილია სკრეპი (სურ. 2), მსხვილი რქოსანი პირუტყვის ღრუბლისებრი ენცეფალოპათია, კატის ღრუბლისებრი ენცეფალოპათია და წაულას ენცეფალოპათია.

**დიაგნოსტიკა.** მედიცინასა და ვეტერინარიაში პრიონული დაავადებების დიაგნოსტიკური განსაკუთრებულ პრობლემად რჩება.

სამედიცინო პრაქტიკაში პრიონულ დაავადებათა დიაგნოსტიკის ძირითად მეთოდად სეროლოგიური გამოკვლევებია მიჩნეული. ამ მიმართულებით კვლევები მიმდინარეობს იმუნოფერმენტული ანალიზით პრიონული ცილების აღმოსაჩენად და მონოკლონური ანტისხეულების ბაზაზე დაგნოსტიკურების დასამზადებლად; თუმცა, დღემდე ჩატარებული გამოკვლევები უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან არ იძლევიან სარწმუნო შედეგებს.

პრიონულ დაავადებათა დიაგნოსტიკის პროგრესულ მიმართულებად ითვლება შარდში PrP<sup>sc</sup> ცილის აღმოჩენა, რომელიც კომერციული თვალსაზრისით ძნელი განსახორციელებელია და ამიტომ დასრულებისა და გამარტივების სტადიაზე იმყოფება.

**მკურნალობა.** პრიონული დაავადებების მკურნალობის საკითხი გადაუქრელ პრობლემად რჩება, ვინაიდან არ მოიპოვება ისეთი პრეპარატები, რომლებიც შეაკვებდნენ პრიონული პათოლოგიების განვითარებას.

თანამედროვე პერიოდში პრიონული ინფექციების მკურნალობის ეფექტური მეთოდების შემუშავებისათვის კვლევა-ძიება სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს.

– პრიონული ცილის პროდუქციის დათრგუნვა PRNP-ს სანინაალდეგო ოლიგონუკლეორტიდებით;

– ნორმალური P PrP ცილის კონფორმაციული ცვლილების დაბლოკვა;

– პათოგენური პრიონული ცილის აქტიური ცენტრის შებოჭვა.

**გ. სრბები,**  
აგრარული უნივერსიტეტის  
დოქტორანტი;

**დ. ავალიძეი,**  
გეტერინარიის დოქტორი.

# მურალობის კარიოზის გავლენა ცხოველის ჯანმრთელობასა და კრიზისულობაზე



ეს ორგანიზმისათვის რთული საქმეა. აქედან გამომდინარე, ფურს უნდა მივცეთ საშუალება დაისვენოს, დააგროვოს საზრდო ნივთიერებები ნაყოფის კარგად განვითარებისათვის და მოემზადოს მომავალი ლაქტაციის პერიოდსათვის. ამ მიზნით მოგებამდე 2 თვით (60 დღით) ადრე წყვეტენ ფურის წველას. ამ დროს მშრალობის პერიოდი ენდება.

მშრალობის დასაწყისი ცხოველის ორგანიზმისათვის რთული პროცესია და მიმდინარეობს ცურის მუშაობის გადაწყობა. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა მივაჭიოთ ცურის მდგომარეობას, რომ არ განვითარდეს ფარული მასტიტები და სხვა პათოლოგიები.

მშრალობის პერიოდის განსაზღვრისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ფურის დაგრილების ზუსტი თარიღი (საქმის გასაადვილებლად ისარგებლეთ ფურების დაგრილების კალენდრით, რომელიც მეცხოველობის მრავალ ცნობარშია).

მშრალობის პერიოდის დროულ და სწორად ნარმართვაზე დამოკიდებული ფურის შემდგომი ჯანმრთელობა და მომდევნო ლაქტაციისას მისი ფიზიოლოგიური მდგომარეობა.

მშრალობის პერიოდი გავლენას ახდენს:

- ნაყოფის ნორმალურ განვითარებაზე;
- ფურის მერძეულ პროდუქტიულობაზე;
- მშობიარობის მიმდინარეობაზე;
- ხსენის ფორმირებაზე;
- მომყოლის მოშორებაზე;

მეცხოველეობაში მიღებულია დარგის რენტაბილურობისათვის დაიგენერირებული ფურის განვითარების 10 თვის განვითარებაში (ლაქტაციის არ უნდა აღვენათ 300-305 დღეს). ეს იმას ინიციატივას, რომ ფურის უნდა იმაკონიდან 90 დღის განვითარებაში (უპირატობია, თუ ეს მოხდება მომავალი აცურაბაზე) და შეუთავსოს ერთმანეთს მაკონა და ლაქტაცია.

გან ცხოველებს წლის სხვადასხვა დროს განსხვავებულად კვებავენ.

ფურებს ზამთარში გაშრობის წინ უცვლიან რაციონს, ამცირებენ ან მთლიანად წყვეტენ წვნიანი და კონცენტრირებული საკვების მიცემას, ზღუდავენ აგრეთვე წყლის რაოდენობას. ცხოველს მცირე რაოდენობით ეძლევა კარგი ხარისხის თივა. თივის რაოდენობას რამდენიმე დღი ამცირებენ იმიტომ, რომ მშრალი საკვების მიღების შემდეგ ცხოველი არ შეანუხოს წყურვილმა და დიდი რაოდენობით არ მიიღოს წყალი, რაც არასასურველია გაშრობის პერიოდში. იქ, სადაც თივა არ აქვთ და ცხოველებს კვებავენ მარტი ჩალით, ამ საკვებსაც სჭირდება სათანადო შემზადება – წვრილდ დაჭრა და ცხელი მცირედ მარილიანი წყლით ჩაორთქვლა. ამ დროს დაუშვებელია დაობებული ან სხვა სახის უხარისხო საკვების მიცემა. ამან შეიძლება გამოიწვიოს აბორტები.

ზაფხულში ცხოველს უშვებენ მხოლოდ ღარიბ საძოვარზე და რამდენიმე დღე დღილა-სალამოს ალარ აძლევენ დამატებით საკვებს ან თანდათან უმცირებენ მას, იქიდან გამომდინარე, რომ ნაყოფს მკვეთრად არ შეუმცირდეს საზრდო ნივთიერებები. მშრალობაზე გადაყვანის დაწყების დღიდან და მის შემდგომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაჭიოთ ცხოველის ქცევას, ცურის ზომას. ის თანდათან უნდა შემცირდეს მოცულობაში, შეებისას არ უნდა იყოს გამაგრებული და მტკიცნეული. ცხოვე-

ლები უნდა ვამყოფოთ სისუფთავეში, დავუფინოთ სუფთა ქვეშსაფენი, დავიცათ ზედმეტი ტენისაგან, ორპირი ქარისაგან, გაცივებისაგან და შენობაში დაგროვილი მავნე აირების ზემოქმედებისაგან. მასზე არ უნდა მოვახდინოთ ფიზიკური ზემოქმედება და ავარიდოთ სტრესები.

მშრალობაზე გადაყვანის შემდეგ (როდესაც ცურში განიწოვება რძე და შემცირდება მოცულობაში) ცხოველებს იკვლევენ ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე, ლეიკოზზე და სხვა ინფექციურ დაავადებებზე, რეგიონის ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე.

პარაზიტული დაავადებები, მათ შორის ჰელმინთოზები, ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა რეგიონში. აქედან გამომდინარე, მშრალობის პირველ ნახევარში ცხოველები უნდა გამოვიკვლიოთ დიქტიოკაულოზზე (ფილტვის ჭიაზე), ფასციოლოზზე (ლვიძლის ჭიაზე), ეზოფაგოსტომოზზე (ფაშვის ჭიაზე), ჰიპოდერმატოზზე (კანქვეშა ბორაზე) და სხვა ჰელმინთებზე.

გამოვლენილი დაავადებების სანინაღმდეგოდ უნდა ჩავატაროთ დროული სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ახალშობილი ხბოების დასაცავად კოლიბაქტერიოზისაგან (რომლის ძირითადი ნიშანია ძლიერი ფალარათი სიკოცხლის პირველ დღეებში) და სალმონელოზისაგან (მიმდინარეობს კუჭ-ნანლავის აშლილობით და ფილტვების ანთებით) მაკე ფურებს მშრალობის პირველ ნახევარში ცრიან კოლიბაქტერიოზის და სალმონელოზის სანინაღმდეგო ვაქცინებით (ამ შემთხვევაში პასიური იმუნიტეტი ხბოებს გადაეცემა ხსენის მეშვეობით).

ცხოველის ფიზიოლოგიური მდგრადირების დასადგენად და ფარულად მიმდინარე პათოლოგიების გამოსავლენად უნდა ჩავატაროთ სისხლის და სხვა სითხეების (პირველ რიგში შარდის) კლინიკური გამოკვლევა.

აღნიშნული გამოკვლევები საშუალებას მოგვცემს სწორად ნარგმართოთ ცხოველის კვება, სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებები.

მშრალობის მეორე ნახევარში უნდა შევზღუდოთ ვეტერინარული ღონის-

ძიებების ჩატარება, თუ ამის აუცილებლობა არ არის, მშრალობის პერიოდში გამოვიყენოთ ისეთი ვეტერინარული პრეპარატები (ვაქცინები, ანტიპარაზიტული პრეპარატები და სხვა), რომელთა თანდართული ინსტრუქციები იძლება ამის უფლებას. ყველა ვეტერინარულ მანიპულაციას წყვეტის მშრალობის ბოლო ორი კვირის განმავლობაში.

მშობიარობის შემდგომი მასტიტების პროფილაქტიკის მიზნით ფურები მშრალობის პერიოდის დასაწყისში უნდა გამოვიკვლიოთ ფარულ მასტიტებზე კალიფორნიატესტის გამოყენებით. გამოვლენილ დაავადებულ ცხოველებს უნდა ჩავუტაროთ სათანადო მკურნალობა (ზეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მშრალობის პერიოდისათვის არსებული ფარული მასტიტების (რომელიც ხშირია) გამოვლინება კლინიკური ფორმით ხდება მშობიარობის შემდგომ პერიოდში, რაც დიდი პრობლემის ნინაშე აყენებს ცხოველთა მეპატრონებს).

მაკე საქონელს გავაშრობთ თუ არა, პირველივე დღიდან უნდა დავიწყოთ ზრუნვა მომავალ ნორმალურ მშობიარობაზე და ჯანსაღი ნამატის მიღებაზე.

მოვლა-შენახვის საერთო პირბების გაუმჯობესებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მაკე პირუტყვის კვებას მშობიარობამდე, პირველ რიგში, მშრალობის პერიოდში.

მშრალობის მთელ პერიოდში მაკე პირუტყვის კვება მეტად საპასუსისგებლო საქმეა, რადგან ყოველ ცხოველს უნდა მიეუდგეთ ინდივი-

დუალურად და გავითვალისწინოთ: ასაკი, მოსალოდნელი პროდუქტი-ულობა, მშობიარობათა რიცხვი და, რაც მთავარია, ცხოველის ფიზიკური მდგომარეობა, პირველ რიგში, შეხორცება. მშრალობის პერიოდში მაკე საქონელმა უნდა მოიმატოს 10-12%-ით (აქ გასათვალისწინებელია ნაყოფის წონაში მომატებაც).

მშობიარობამდე მაკე ცხოველი უნდა ვავებოთ ისე, რომ მან სრულად ალიდგინოს საზრდო ნივთიერებათა ის დანაკარგები, რაც მას ჰქონდა გასული ლაქტაციის პერიოდში და დაგროვოს მარაგი მომავალი ლაქტაციისათვის.

უშობლების საკვები ამ პერიოდში უნდა იყოს 10-15%-ით ყუათიანი და მეტი ასაკოვან ძროხებთან შედარებით, რომ მოხდეს მათი ნორმალური ზრდა და ჩამოყალიბება მაღალპროდუქტიულ ფურებად.

ცხოველის მოვლა-შენახვაში კვებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია დაწყურებება. ცხოველმა ყოველდღიურად წყალი უნდა მიიღოს ნებაზე (ცხოველი მიიღებს იმდენ წყალს, რამდენიც მას სჭირდება). დაწყურებების ორგანიზაციის გარეშე ნარმოუდგენელია ცხოველის ნორმალური ზრდა-განვითარება და მაღალპროდუქტიული პროდუქტიულობა.

წყალი უნდა იყოს კეთილსაიმედო (არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიური ნივთიერებებს) და სუფთა (არ უნდა შეიცავდეს დაავადების აღმძრებელ მიკროორგანიზმებს და პარაზიტებს). კვერცხებს და ლარვებს).

მაკე საქონლის (განსაკუთრებით მშრალობის პერიოდში) სასმელი





ნეალი უნდა იყოს 8-10°C-იანი. არ შეიძლება მაკე საქონლისათვის ცივი წყლის დადი რაოდენობით მიცემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აბორტები. ცივი წყლის დადი რაოდენობით მიცემისას ცხოველი ცდილობს ჭამოს მეტი საკვები თბორევულაციის მოსანესრიგებლად, მეტი ენერგიის გამომუშავებისათვის. ცივი წყალი არღვევს ბაქტერიულ სინთეზს ფაშვში. ფაშვში არსებული მიკროორგანიზმების აქტიურობისათვის საჭირო ნორმალური (ორგანიზმის) ტემპერატურა. ცივ გარემოში მიკროორგანიზმები ხშირად იხოცებიან ან დიდი ხნით ანელებენ ცხოველმყოფელობას. შედეგად მონელების პროცესი ნაწილობრივ ან სრულად წყდება.

მაღალი ტემპერატურის წყალი (15-18°C და ზევით) ნაკლებად კლავს წყურვილს. ცხოველთა სადგომებში აუცილებელია მოეწყოს საწყურებლები, გარეთ ეზოში კი დაიდგას ჩანები სუფთა წყლით. საძოვარზე უნდა მოეწყოს ცხოველთა სპეციალური საწყურებლები.

მდინარის, ღელის და განსაკუთრებით გუბების წყალი მეტად საშიშია. ხშირად ის ხელს უწყობს ინფექციური და პარაზიტული დაავადებების გავრცელებას.

მშრალობის პერიოდში მაკე ცხოველები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მინერალებით და ვიტამინებით. მათ უნდა მიეცეთ პრემიქსები და სხვა საკვები დანამატები, რათა უზრუნველყოფით ორგანიზმი (პირველი რიგში, ნაყოფი) ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა: კალციუმი, ფოსფორი, რკინა, ნატრიუმი, კობალტი, თუთია, კალიუმი, სელენი და სხვა, ვიტამინები: A, B, C, D, E და სხვა.

ფურების ბაგური შენახვის პირობებში ცხოველებმა უნდა ისარგებლონ აქტიური მოციონით, 2-3 კმ მანძილზე გადაადგილებით. რომ არ მოხდეს ცხოველების ტრავმირება მაკე ცხოველები უნდა გავიყენოთ ისე, რომ არ მოხდეს მათი შერკინება სხვა ცხოველებთან. ცხოველის გაყვანა შენობიდან უნდა მოხდეს ფრთხილად, რომ არ დაუსხლტეს ფეხები, არ მიეჯახოს კარის ჩარჩოს და სხვა მყარ საგანას.

მოციონის არქონის შემთხვევაში ირლევა ნაყოფთან სისხლის მიმოქცევა, რაც ინვევს ნაყოფის ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებების მიწოდების შემცირებას და იშლება მაკე საქონლის კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირება. ამ დროს ცხოველებს უვითარდებათ შეკრულობა, ცურის შესიება და სხვა. მუდმივმა შეკრულობამ შეიძლება გამოიწვიოს ინტოქსიკაცია და აბორტი.

როგორც საპასუხისმგებლოა ცხოველების გადაყვანა მშრალობის პერიოდზე, ასევე მნიშვნელოვანია მშრალობის ბოლო – მშობიარობისთვის მთადების პერიოდიც.

საძოვარზე და სხვადასხვა გრუნტიან გზებზე სიარული გავლენას ახდენს კიდურების მდგომარეობაზე. ცხოველებს დაზიანებული კიდურებით უძნელდებათ dmoვა, ჩამორჩებიან ნახირს, დიდხანს წვანან, ქვეითდება პროდუქტიულობა (რძის რაოდენობა კლებულობს 10-15%-ით), მცირდება ნონამატი.

მშრალობის პერიოდში მაკე ფურის ჩანარჩენის მიერ და ვიტამინების ცხოველს უცურდება ფეხები, ეცემა, ღებულობს ტრავმებს,

ხშირად ვითარდება აბორტები, გაძნელებულია მშობიარობა, კლიმატის ზემოქმედებით (მაღალი და დაბალი ტემპერატურა, ტენი) სკდება ჩლიქის რქოვანი საფარი, ზიანდება რბილი ქსოვილები და ინფიცირდება მიკროორგანიზმებით. წარმოშობილი პათოლოგიური პროცესი იწვევს ადგილობრივ ჩირქერვან დაზიანებებს, რომელიც მოქმედებს აგრეთვე ცხოველის საერთო მდგომარეობაზე.

ცხოველის მეპატრონის ვალია მუდმივად აკონტროლოს ცხოველის ჩლიქების მდგომარეობა და დაზიანების შემთხვევაში გაატაროს სათანადო სამუშაო და პროფილაქტიკური ღონისძიებები. მშრალობის პერიოდში მაკე ცხოველებს ჩლიქები წესრიგში უნდა ჰქონდეს.

განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს რქებიც. წვეტიანი რქები აუცილებლად უნდა მოიხერხოს და დამუშავდეს ისე, რომ ცხოველებმა ერთმანეთი არ დააზიანონ.

ფერმაში, იქ, სადაც დიდი რაოდენობით მაკე ცხოველებია, მშრალობის პერიოდში ქმნიან ცალკე ჯგუფს. ცხოველთა ასეთ ჯგუფში შედარებით ადვილია და ეკონომიური ვეტერინარული ღონისძიებების ჩატარება.

მშრალობის პერიოდში უნდა მოვაწესრიგოთ მომავალი მშობიარობის ადგილი, კარგად დავასუფთავოთ და ჩავატაროთ დეზინფექციები, მოვიმარაგოთ მშობიარობისთვის აუცილებელი ვეტერინარული პრეპარატები და საშუალებები (პირველი რიგში, ანტისეპტიკური ხსნარები).

ფურის მშობიარობა და მშობიარობისშემდგომი პერიოდი ცალკე განხილვის საგანია.

**თანხმი გურავილი,**  
აგრარული უნივერსიტეტის საექსტერინინარ მედიცინის ინსტიტუტის  
დირექტორი, სსმა აკადემიკოსი;

**მათერინე ღვალაძი,**  
აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საექსტერინინარ მედიცინის ინსტიტუტის ვეტერინარული კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

**ვაჟავი გურავილი,**  
აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

# მასტიტი მერძეულ მესაქონლეობაში

გაღალსარისხიანი რპის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ჯანრთელი ფურაგიდან. მირძეულ მესაქონლეობაში სერიოზულ პროგლეგად რჩება ფურაგის ისეთი დაავალება, როგორიცაა მასტიტი. მასტიტისთვის ფურაგი შეიძლება დაავალდეთ ლაქტაციის სხვადასხვა პერიოდში, გამრობის დროსა და ასევე მშრალობის პერიოდში.

მასტიტით პირველ რიგში ყველაზე მაღალპროდუქტული ფურები ავადდებან, ვინაიდან სარძევე ჯირკვლების გაძლიერებული ექსპლუატაცია ძალზე მგრძნობიარეს ხდის მას უარყოფითი ფაქტორებისადმი.

მასტიტის აღმდერელებია ფაკულტატურ-პათოგენური ბაქტერიები, სხვადასხვა სახის სოკოები, რომებსაც შეუძლიათ შეაღწიონ სარძევე ჯირკვლებში როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური გზით, ჩაინერგონ ქსოვილებში და გამოიწვიონ ანთებითი პროცესი. რამდენადაც მასტიტის აღმდერელები ყველგან ბინადრობენ, დაავადებასთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დაავადება ხასიათდება ცხოველის საერთო მდგომარების გაუარესებით, ტემპერატურის მომატებით, გამონადენით, სარძევე ჯირკვლების კანის განითლებით, რძის საკვები ღირებულების გაუარესებით. უფრო ხშირი გავრცელება აქვს სუბკლინიკურ (ფარულ) მასტიტს, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარეგანი კლინიკური ნიშნების გარეშე მიმდინარეობს, რაც ხშირ შემთხვევაში ინვევს რძის სეკრეციის შეწყვეტას და ცურის მეოთხედების ატროფიას.

მასტიტის გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ფურების შენახვის

არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარულ-სანიციტარიული პირობები ნარმოადგენს. გარდა ამისა, დაინფიცირების წყაროა წველის ტექნოლოგიის დარღვევა (საწველი აპარატი, მწველავის ხელები, დაბინძურებული ჩვარი/ხელსახოცი). არასწორი წველისას შესაძლებელია მოხდეს დვრილების მექანიკური დაზიანება, რაც მასტიტის განვითარების ხელშეწყობ ფაქტორად გვევლინება.

მასტიტით გამოწვეული ზიანი განისაზღვრება მერძეული პროდუქტიულობის დაცემით. დაავადებული ფურების რძეში შემცირებულია ცხიმის შემცველობა, მუავიანობა, კაზეინის რაოდენობა, მშრალი ნივთიერება, რძის შაქარი, კალციუმი. სუბკლინიკური მასტიტით მიყენებული ზარალი იზრდება იმითაც, რომ დასწებოვნებული ფურების ხსენი და რძე უვარგისია ახალშობილი ხბოების გამოსაკვებად, რძის პროდუქტების გადასამუშავებლად და ნარმოადგენს საშიშროებას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, რადგანაც შეიცავს პათოგენურ მიკრობებსა და ტოქსინებს.

მასტიტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის მრავალი საშუალებები არსებობს, ძირითადად – სხვადასხვა ანტიბიოტიკები, რომელებიც ყოველთვის არ იძლევიან მა-



ღალ თერაპიულ ეფექტს. აქედან გამომდინარე, მასტიტის სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების შემუშავებას, რომელთაც გააჩნიათ ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრი და ინვევენ ორგანიზმის ბუნებრივი და სპეციფიკური რეზისტრენტობის ამაღლებას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ბოლო წლებში ფურების მასტიტთან ბრძოლაში გარკვეული წარმატებებია მიღწეული და დაავადების საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებებია შემოთავაზებული. კომპანია „ინვეტი“ გთავაზობთ ფურებისა და უშიბლების იმუნიზაციისათვის მასტიტის საწინააღმდეგო მაღალეფების ვაქცინას „სტარტვაკი“ (STARTVAC), წარმოებულს ესპანეთში კომპანია „HIPRA“-ს მიერ, რომელსაც წარმატებით იყენებენ საქართველოში მოქმედი მსხვილი მერძეული მეურნეობები. სტარტვაკის მთლიანი იმუნიზაციის სქემა წარმოქმნის იმუნიტეტს.

სტარტვაკი მეძუძურ საქონელში კურნაეს მასტიტს. გამოიყენება სუბკლინიკური მასტიტის ინციდენტების აღმოსაფხვრელად, ასევე სტაფილოკოკით, კოლიფორმით და კოაგულაზანეგატივით გამოწვეული კლინიკური მასტიტის ნიშნების სამკურნალოდ.

სტარტვაკი უნდა შეიყვანოთ 1 დოზა (2 მლ) ღრმად კუნთქევეშ შემდეგი სქემის მიხედვით: პირველი ინექცია – 45 დღით ადრე მშობიარობამდე; მეორე ინექცია – 35 დღის შემდეგ, ანუ 10 დღით ადრე მშობიარობამდე; მესამე ინექცია – მეორე ინექციიდან 62 დღის შემდეგ. იმუნიზაციის სრული პროგრამა უნდა განმეორდეს ყოველი მომდევნო ორსულობისას.

**გურაბ გვლიბავი,**  
კომპანია „ინვეტი“-ის მთ. კონსულტანტი, აკადემიური დოქტორი



# რჩვენი ინდურის გამოზრდასა და ფრინველის ზოგიერთ დაკვადებაზე



ქათამთან შედარებით ინდაური უკეთეს, სპეციფიკურ პირობებს და გაძლიერებულ კვებას ითხოვს.

ინდაურს განვითარების საწყის ეტაპზე მძიმედ გადააქვს სიცივე და მაღალი ტენიანობა.

მისი შენახვის რეჟიმი ასეთია: 1-დან 10 დღემდე სასურველი ტემპერატურა +31 +33 გრადუსი; 11-დან 30 დღემდე – +27 +28 გრადუსი. ტენიანობა 60-70%. არ დავუშვათ ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება.

20-25 დღემდე ინდაურის ჭუკებს ამყოფებინ სპეციალურ ყუთში (გალიაში) ბადიანი იატაკით (ბადე ავირჩიოთ წვრილნასვრეტებიანი). გალია იატაკიდან ნამოწეული უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფით გისტომონზის პროფილაქტიკა.

20-25 დღის ასაკიდან ინდაურის ჭუკები შეიძლება გავზარდოთ თბილ შენობაში, ღრმა საფენზე. საფენად გამოვიყენოთ წვრილად დაჭრილი ნამჯა (სილრმე არანაკლებ 10 სმ), რომელიც აუცილებლად უნდა შევინახოთ მშრალ მდგომარეობაში. ინდაურის ჭუკების-თვის აუცილებელია მზის გამოსხივება და მწვანე ბალაზი. 5 კვირამდე ძალიან მერძნობიარენი არიან სინესტისადმი, ამიტომ არ გავუშვათ ეზოში წვიმიან ამინდში, ასევე ცვარის დროს.

## კვება

სიცოცხლის პირველ კვირაში ინდაური უნდა ვკვებოთ მაღალცილოვანი და ვიტამინებით დატვირთული საკვებით. ჭუკებს მივცეთ მაგრად

ინდაურის ხორცი არის ღიატური, დაკალი ძოლესთვისით, შეიცავს ღილი რაოდენობით საჭირო ვიტამინებს და ამინერალებს და მიკროელემენტებს. ხორცი ადვილად აითვისება, არ იხვევს ალერგიას. არანაკლებ სასარგებლობა ინდაურის ღვიძლი, რომელიც შეიცავს საკმარი რაოდენობის ფრინველის მჟავას და ვიტამინ K-ს.

მოხარშული, დაქუცმაცებული კვერცხი ახალი ხაჭოთი, რასაც დავუმოტებთ ვიტამინებს: A, D, B ან მივცეთ წყლით. ჭუკები კარგად ჭამენ დაქუცმაცებულ მწვანე ხახვს, გახეხილ სტაფილოს. წყალი უნდა სვან შეუზღუდვად (წყლის ტემპერატურა +15 +22 გრადუსი). ნისკარტები რომ არ დაიზიანონ (რამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს) სასურველია საკვები გავშალოთ მშრალი და რბილი ქსოვილის ქვესაფენზე ან სქელ ქაღალდზე.

10-30 დღიდან შეიძლება დავამატოთ სიმინდის ფეხილი, გაცრილი ქერი, ფეტვი, შროტი, სტაფილო, ხაჭი და რძის სხვა პროდუქტები. აუცილებელია ვიტამინებიც.

30 დღიდან 2 თვემდე შეგვიძლია ვკებოთ: ფრინველის კომბინირებული საკვებით, ხორბლის ნარჩენით, სტაფილოთი, ახალი მწვანილით, რძის პროდუქტებით.

მომდევნო თვეებში კომბინირებული საკვებისა და მწვანე მასის რაოდენობა გავზარდოთ. აუცილებელია საკვებს დავუმატოთ საჭმელი მარილი და ნიჟარები.

თუ ინდაურის საძოვრული შენახვის საშუალება გვაქვს, აუცილებლად გამოვიყენოთ, რადგან ეს ფრინველი თავად მოიპოვებს მისთვის აუცილებელ საკვებს.

ინდაური კვერცხდებას 9-10 თვის ასაკში იწყებს. წელიწადში დებს 70-120 კვერცხს, მასა – 80-95 გრ. იზრდება სწრაფად. დიდტანიანი ჯიშების წონაში შეიძლება 25 კგ-მდეც მიაღწიოს, ხორცის გამოსავალია 80-85%. ინდაურის ჯიშებიდან საქართველოში გვხვდება მეკრდფართო, ივანური, თეთრი ან ბრინჯაოსფერი. ზრდასრული მამლის წონაა 18-22 კგ, დედლის – 8-9 კგ.

ბრინჯაოსფერი ინდაური აღწევს: მამალი – 8-9 კგ-ს, დედალი – 6 კგ-ს, დებს 70-მდე კვერცხს.

მოსკოვური გვხვდება ბრინჯაოსფერი ან თეთრი. მამალი აღწევს 13-14 კგ-მდე, დედალი – 8 კგ-მდე. კვერცხდება 100 ცალს აღმატება.

ინდაურის ჭუკები ცუდად ხედავებ, ამიტომ საკვები პირველი სამი კვირა ხელით უნდა ვაჭამოთ, ან გვერდით მივუსვათ ქათმის წინილები, რომელიც მათ ჭამას ასწავლიან. ქათმის წინილები დიდხანს არ შეიძლება ინდაურის ჭუკებთან იზრდებოდენ, რადგან შეიძლება ჭუკები დავაგადნენ ენტეროპეპატიტით. ქათმის წინილებისგან განსხვავებით ინდაურის ჭუკები მეტად მფრთხელი არიან, ადვილად ცივდებიან და ძნელად ეგუებიან საკვების ცვლას. გაფუჭებული საკვებით ადვილად ავადდებიან და კვდებიან.

ჭუკებს აუცილებლად სჭირდებათ ოთახის ტემპერატურის სუფთა წყალი. საბურუნებელი ისეთი უნდა იყოს, რომ მათ დალიონ და არ დასველდნენ. საკვები დაუმზადეთ გამოყენების წინ.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ინდაურები მიღრეკებილები არიან გაცხიმოვნებისკენ, ამიტომ ეს რომ არ მოხდეს, საკვებ რაციონში ჩაგამატოთ ბალახის ფეხილი და მარცვლეული შევამციროთ. მივცეთ საშუალება ბევრი იმოძრაონ.

კვერცხდების პერიოდია აპრილი და მაისი.

სამწუხაროდ, აღნიშნული ჯიშების რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია.

## გავრცელებული გადამდები და არაგადამდები დაავადებები მოზარდ ფრინველში

ჭირი – მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომლის პროფილაქტიკა (აცრა) აუცილებელია.

პულოროზი – მწვავე ინფექციური დაავადებაა. წინილები (ჭუკები)

ძირითადად ავადდებიან 25 დღემდე, დაახლოებით – 60%-მდე. პულოროზი ემართება ყველა სახის შინაურ და გარეულ ფრინველს.

სიკვდილიანობა აღნევს 50%-ს და ხშირად მეტსაც. დაავადების სიჩქარე-სა და ინფექციური პროცესის ინტესივობაზე გავლენას ახდენს ფრინველის გამოყვანის ტექნოლოგიის უხეში დარღვევა, გადაცივება, ცუდი განიავება, ტენიანი საგებელი, დაბინძურებული და ტოქსიკური საკვები, საინკუბაციო კვერცხის ცუდი ხარისხი, ანტისანიტარული პირობები, არასრულფასოვანი კვება. ინვაზიის მიმდინარეობას ამზადებს: ავიტამინოზი, ასპერგელოზი, კოკიდიოზი, ბაქტე-რიული და ვირუსული ინფექციები.

**კლინიკური და პათანატომური ცვლილებები.** დაავადება როგორც წესი ვლინდება წინილების (ჭუკების) გამოჩევილიდან 1-2 დღის შემდეგ და გრძელდება 2-3 კვირა. თავდაპირველად სიმპტომები ყოველთვის არ შეიმჩნევა. 5-7 დღის შემდეგ წინილები უმოძრაოდ არიან, ფრთები ჩამოყრილი აქვთ, კლოაკის მიდამო ფეკალით არის დაბინძურებული, მა-და არ აქვთ, ენფებათ დიარეა, ხშირად ვლინდება თეთრი ქაფიანი ფეკალი.

**გაკვეთისას:** ღვიძლი გამკვრივებულია, მოყვითალო ფერისაა, მცირენეკროზული კერებია, ნაღვლის ბუშტი გადავსებულია, ელენთა გადიდებულია, თორმეტგოჯა ნაწლავის ლორნოვან გარსზე კატარალური ანთებაა.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა:** აუცილებელია სრულფასოვანი კვება და შენახვა. 1-10 დღიან კვერცხს (რომელიც გამოიყენება ინკუბაციისთვის) დეზინფეციას უტარებენ 1%-იანი პერეკისის სხნარით ან იოდზეფით, ფორმალინით, ენროფლოქს 10%-ით და ა.შ.

პროფილაქტიკისთვის საკვებში შეგვიძლია დავამატოთ ბიოლოგიური პრეპარატი „ალქევერნატ ნებსუ“ ან ალქევერფიდ ნატურალი შემდეგი დოზით: 1-დან 25 დღემდე 0,5-1გრ 1კგ საკვებში, შემდეგ 0,5 გრ 1 კგ საკვებში.

სამკურნალო ანტიბიოტიკებიდან კარგ საშუალებად ითვლება ენროფლოქსი 10%-იანი, ვილფლოქს ფორტი, ფლორვილ 10%-იანი, შესაბამისი დოზით: 1 მლ 1 ლიტრ ნებალში 5-6 დღე. ხორცზე დაყოვნება 11 დღე. რაციონში ასევე დავამატოთ ვიტამინი AD3E. შეგვიძლია გამოვიყენოთ ბიოლოგიური ანტიმიკრობული საშუალება „დასი“ დოზით: 1 მლ – 1 ლ ნებალში.

**სალმონელოზი (პარატიოფი)** – სალმონელების უმრავლესობა კარგად ინახება გარემოში. ინვაზიის წყარო შეიძლება იყოს დაბინძურებული საინკუბაციო კვერცხები. ნაჭუჭის ზედაპირიდან სალმონელა რამდენიმე საათის შემდეგ შეგნით აღნევს.

**კლინიკური და პათანატომოგრაფიური ცვლილებები.** სალმონელოზური ინფექციის პირველი ნიშანია კარგად განვითარებული და ზრდასრული ფრინველების ერთ დღეში მოულოდნელი დახოცვა. ქვემნავე და ქრონიკული ფორმის დროს აღინიშნება ზრდაში ჩამორჩენა, მკვეთრი დაცემა, თუმცა, წინილებსა და ინდაურის ჭუკებში სიმპტომები ხშირად არ ვლინდება.

იხვებს მუდმივად ერთი და იგივე ნიშნები აქვთ: წყლის მიღების შემდეგ უეცარი დაცემა და სიკვდილი. 3 კვირამდე ასაკის წინილებსა და ინდაურის ჭუკებს აღენიშნებათ დიარეა, გაძლიერებული წყურვილი, სითხიანი ფეკალი.

**გაკვეთისას:** ღვიძლი გადიდებული, ბრმანანლავი სავსეა ყვითელი ხაჭოსებრი მასით.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა:** იმის გათვალისწინებით, რომ სალმონელების გავრცელება დაკავშირებულია დაბინძურებულ ნაჭუჭთან, აუცილებელია კვერცხის დეზინფეცია. მკურნალობა: როგორც პულოროზის დროს.

**კოკციდიოზი** – ხშირად ავადდება 2 კვირიდან 6 კვირამდე მოზარდი. ფრინველი უმოძრაოდ არის, კარგავს მადას, უძლიერდება წყურვილი, ფეკალი მომწვანო ან მონითალო-შოკოლადის ფერისაა (იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ეიმერით არის დაავადებული), ბიბილო და საყურეები უფერულია, წინილები სწრაფად ხდებიან.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა** – აუცილებელია მოზარდის იზოლაცია მოზრდილი ფრინველისგან, ნაკელის ყოველდღიური გატანა შენიბიდან, სუფთად და ბალანსირებულ კვება, მშრალი სასეირნო ადგილის მოწყობა. საკვებში დამატებით შევიტანოთ კოკციდიოზის სანინაალმდეგო საშუალება: მაგ. ზიკოცი 0,5 გრ – 1 კგ-ში, რომელიც თითქმის 100%-ით დაიცავს ფრინველს დაავადებისაგან, არ მოქმედებს ხორცის ხარისხზე, არ აქვს შეზღუდვა.

დაავადების დროს კარგ სამკურნალო საშუალებად ითვლება პრეპარატები (ბიოკოცი, ესპაკოკცი, პლურიკოცინი). ფრინველის დაკვლა შეიძლება ამ პრეპარატების მიცემის შეწყვეტიდან 8 დღეში.

**ფუზარიოტოქსიკოზი** – საკმაოდ გავრცელებული დაავადება, იწვევს მონამვლას. სოკოების ცხოველმოქმედების პროდუქტი გროვდება მარცვლოვან და პარკოსან კულტურებში. შედარებით მგრძნობიარენი არიან 2 თვემდე ასაკის ფრინველები. ხშირად ავადდებიან ინდაურის და იხვის ჭუკები; იმვიათად – წინილები. დაავადების წყარო კომბინირებული საკვები, მარცვლოვნები, პარკოსნები, რომლებიც ობის სოკოთი დაავადებული მინიდან ან სათვესლე მასალიდან არის აღმოცენებული, არ არის სწორად შენახული. ფუზაზიოზით დაავადებული მცენარე, მოხვდება რა საკებში, იწვევს ძლიერ მონამვლას, ხშირად ლეტალობით (ძლიერ შხამიანია ადამიანისთვისაც). სოკოს მიკოტოქსინები მდგრადია მაღალი ტემპერატურის მიმართ, ისინი არღვევენ მიუნურ სისტემას, მოქმედებენ რეპროდუქციაზე.

**კლინიკური და პათანატომოგრაფიური ცვლილებები** – სიმპტომები დაინვაზირებული საკვების მიცემიდან 12-14 საათის შემდეგ ვლინდება. სიმპტომები ასეთია: დეპრესია, ფრთები ჩამოყრილი, ბიბილო გალურჯებული, პირის ღრუს ლორნოვანზე ნეკროზები, სისუსტე, სისხლნაკლებობა, ჩიჩახვის საყლაპავის ლორნოვანის შესიება, ჰიპერემირებული, ექსუდატით დაფარული, ჯირკვლოვანი კუნთის ლორნოვანის შესიება, კუნთოვანი კუჭის საზღვართან სისხლჩაქცევებია. აღენიშნება ღვიძლის ანთება, ჰემორაგიული დაავადებები. თუ არ ვუმკურნალებთ, ფრინველი იღუპება.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა:** პროფილაქტიკისთვის საკვეთესო საშუალება ფრინველის ხარისხიანი საკვებით კვება, მაგრამ რადგან





მიკოტოქსინებიდან არც მაშინ ვართ დაზღვეული, ამიტომ უმჯობესია საკვებში პროფილაქტიკისთვის ჩავჭროთ მიკოტოქსინების საწინააღმდეგო პრეპარატი. ამ მხრივ შეუცვლელია ბიოლოგიური პრეპარატები: ანტიტოქსი, სუპერანტიტოქსი, აპსა

ქიმიტოქსი, რომლებიც საკვებში უნდა შევიტანოთ 1 დღიდან ზრდის დასრულებამდე. ამ პრეპარატების გამოყენებისას ხორცზე შეზღუდვა არ არის. მკურნალობისთვის გამოიყენება ჰეპავექს – 200, დოზით: 1 მლ 1,5 მლ 1 ლ წყალში 5-6 დღე.

**P.S.** ინდაურის ხორცი შეგიძლიათ იყიდოთ მაღაზიაშიც, მაგრამ როცა თვითონ ზრდით, დარწმუნებული ხართ ხორცის ხარისხში და სიახლეში. თითქმის შეუცვლელი ცილის წყაროა ორსული და მეტუძური დედებისათვის, ბავშვებისათვის.

ინდაურის კვერცხი გემოვნებით და დიეტური თვისებებით მესამე ადგილზე დგას მწყრისა და ციცრის

კვერცხის შემდეგ (მეოთხეზე ქათმის კვერცხი). ინდაურის ხორცი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე – ქათმის. სამი თვის ასაკიდან ის სწრაფად იმატებს. მისი ცოცხალი წონის 60-65%-ს შეადგენს კუნთოვანი მასა, სასარგებლო თეთრი ხორცით. ინდაური ღირებული ფრინველია საოჯახო ბიზნესისთვის, მოგებისთვის შეიძლება გაყიდოთ:

- 1) ინდაურის ხორცი,
- 2) კვერცხი,
- 3) ბუმბული,
- 4) მოზარდი ინდაური,
- 5) ინდაურის ჭუკები.

**მომავლის ფერმერის „მთ. ვეტკონსულტარტი, ბიოლოგის დოქტორი**

## ვათარინარის გვარდი

რუპრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

# გრძელ კითხვა რეალური დანართის შესრულების შემთხვევაში?

მოგვიხარით ად ღარებათ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუსტ მიმღებთ უზრუნველყოფა „ახალ აგრარულ საქართველოს“ საშუალებით.

## 1. ჩვეს ძროხას პერიოდულად უსაგრდება ცური. რძე შეუცვლელად არის. რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?

ამ დროს მიმდინარეობს მასტიტის პერიოდული გამწვავებები. პროცესი ქრონიკულ სტადიაში რომ არ გადავიდეს, აუცილებელია ანტიბიოტიკის გამოყენება. მასტიტის მწვავე ფორმებში განკურნება სასურველი და აუცილებელია იმიტომ, რომ ქრონიკული მასტიტი კიდევ ბევრი შემდგომი მოგების პრობლემისა და ზიანის მიზეზი ხდება. ლაქტაციის პერიოდში უნდა გამოიყენოთ ისეთი ანტიბიოტიკი, რომელიც არ გამოიწვევს რძის დაბინძურებას. კერძოდ, საინექციო საშუალება „ცეფალიცილი“. აღნიშნული პრეპარატი შეგიძლიათ შეიძინოთ შპს „როქში“ (ქ.ნამებულის №91-ის მოპირდაპირე მზარე), ასევე იკითხეთ ვეტაფთიაქებში.

## 2. ჩვეს ჩათვებს უკვე შეუსრულდათ 6 თვე, მეავს დიდი ასაკის ჩათვებიც, გაგრძელება დარგა აღარ ხდება. რა არის ამის მიზანი და რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვეს ზრინებულება კვირცხის დარღოვონი (ამ განახლება)?

ზამთრის პერიოდში გარემოს ტემპერატურა საგრძნობლად დაბალია. თუ თქვენი ფრინველი არ არის შეგუებული ასეთ ტემპერატურას, თუ მოხდა ცვლილებები მათი კვებისა და მოვლის რეზიტაციი, კვერცხდების შეწყვეტა არცაა გასაკვირი. სასურველია შეუქმნათ მას ისეთი გარემო, სადაც თუნდაც ოთახის ტემპერატურა იქნება 10-17°C. საკვებად უნდა მისცეთ კომბინირებული საკვები და ქერისა და სიმინდის ნარევი. სასმელ წყალში შეგიძლიათ შეური-

ოთ კვერცხდების სტიმულაციისთვის საჭირო ბიოლოგიური საშუალებები „ჩიკონიკი“, „ავალპრემიუმი“, „დასი“.

## 3. ჩვები ცევრის ფარაში ორ თვეში დოლი დაიცვა. მათი უმოსისაგა შიგაზე დასახუმავებელია და ახვილებით. მიმღებები თუ არა მიმღებები არ ახლა შეამატებ?

საერთოდ, ჯობს, რომ მოვერიდოთ ანტიპელმინთურ დამუშავებას მაკე ცხოველზე. იმ შემთხვევაში, თუ გამოუვალი მდგომარეობაა და ცხოველი არის არანაკლებ ორი თვის მაკე ან მოგებამდე დარჩენილია არანაკლებ ორი თვისა, თუ ცხოველის იმუნური სისტემა გვაძლევს საშუალებას, შეიძლება მიცეთ: „ფენბექსი 250“ ან „ფენბექსი 500“, „პრომექტინი“ ან „ფისტოკლოზანიდი“.

## 4. ჩვები ინდაური მოგზაურები და აღარ ჭამი. ცონაზიც საგრძნობლად მოიცავს. რა პრეპარატი მიმღებები როგორ შევცვალო ასეთ დროს? ზოგიერთს აღვინვერება ფაზარათიც.

გასათვალისწინებელია როგორია გარემოს ტემპერატურა და კვების საკითხები. აუცილებელია შენობაში იყოს 14-20°C ტემპერატურა. ინდაურებს საკვებად უნდა მისცეთ უპირატესად სიმინდის, ქერის და მზესუმზირის კოპტონი ან სპეციალური მზა საკვები ინდაურებისთვის. სასმელ წყალთან ერთად ვაძლევთ ანტიბიოტიკებს: „აც555“. სამი დღის შემდეგ კი „ავალპრემიუმს“ „ჰეპავექსთან“. ერთად: 1 მლ 1 ლიტრ სასმელ წყალში ერთად 5 დღის განმავლობაში. თუ წონაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა, საკვებში ერევა „განამინოვიტი“: 1 გრამი 2 კგ-ში 5-7 დღე.

რუპრიცას უძღვება „მომავლის ფარგლენი“

## 25 წლის მებრძორა ფარგლენი ჩიხლაძე

თორნიკი ჩიხლაძე „მომავლის ფარგლენი“. პროფესიით მსახიობ-ფილმისტი და მომირი საქართველოში არსებულ ჯიშებს შორის ისინი საუკეთესო თვისებებით გამოიჩინა, არიან მშენებელთა სახით, ნაყოფიერებით გამოირჩინან და საკუთხის ნაკლები მოხმარებით ხასიათდებიან. დღეს 50-მდე დედა ბოცვერი ჰყავს და მუშაობს მხოლოდ საჯიშე ბაჭიებზე ანუ საუკეთესო ბაჭიებს ბუდიდან ცოცხლად ჰყიდის, კონსულტაციას უწევს და შეძლებისდაგარად ეხმარება დამწეულ ფერმერებს. მას შემდეგ, რაც ბოცვერის მოშენებით დაინტერესდა, თორნიკე გადაწყვიტა ამ მიმართულებით ესნავლა და ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ფიქრობს, რომ პროფესიული ცოდნა დიდ როლს თამაშობს ფერმის ნარმატებასა და განვითარებაში.

„ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რთულია იპოვო სამსახური, რომელიც გიზიდავს, გიყვარს და ასევე სტაბილურად უზრუნველეყუფს ფინანსურად. 2012 წელს გამიჩნდა სურვილი თავად დავსაქმებულიყავი და მომეშენებინა რომელიმე კონკრეტული სახის ცხოველი ან ფრინველი. სრულიად შემთხვევით, ჩემი ყურადღება მებოცვრეობამ მიიპყრო. თავდაპირველად ინტერეტში არსებულ მასალებს გავეცანი და სულ მოკლე დროში თეორიული ცოდნა დავაგროვე, თუ როგორ ხდება ბოცვერის მოვლა, კვება და რა პირობების შექმნაა საჭირო მოშენებისთვის.“

შევიძინე ორი ბაჭია, ე.წ. ველიკანის ჯიშის, თუმცა, ჩემ მიერ შეძენილი ბაჭიები სრულიად გაურკვეველი ჯიშის და ნარმობავლობის ბოცვერები გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველისგან მიტყუული დავრჩი, საექსპერიმენტოდ მყავდა ორი ბაჭია და შეიძლება ითქვას, პრაქტიკას გავდიოდი. თავდაპირველად არც შენობა მქონდა, არც გალიები და არც სხვა საჭირო აქსესუარები, რომელიც გამიადვილებდა ბაჭიების მოვლას. როდესაც პირველად ჩემმა ბოცვერმა, დილით ჩემივე დაბადების დღეს

9 ბაჭია დამაბაცვედრა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სწორედ მაშინ უფრო მეტი ინტერესი და სურვილი გამიჩნდა, მქონდა საკუთარი ფერმა.

რამდენიმე თვეში დაახლოებით 20-მდე ბაჭია მყავდა, რომელსაც მოგვანებით ინტერნეტსივრცეში განთავსებული განცხადებით გავუკეთე რეალიზაცია. ალებული თანხითა და საკუთარი შრომით შევიძინე ისეთი მასალები, რითიც შესაძლებელი იქნებოდა გალიების ანყობა. მიუხედავად 6-თვიანი შრომისა, საბოლოო ჯამში გაყიდული ბაჭიებით შევძელი 50-მდე გალია დამემზადებინა, რომელიც მოგვანებით ახალი ჯიშის ბოცვრებით შევავს“, – აღნიშნავს ფერმერი.

თორნიკემ თავისი 4-წლიანი ფერმერული საქმიანობის განმავლობაში ბევრი ფერმერს გან მიიღო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. თუმცა, მისი აზრით, მაინც არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ ფერმერობით შესაძლებელია ადამიანმა ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს, თუმცა, ბოცვერი მარტივად და მასობრივად იხოცება და ა.შ. ეს ხელს უშლის ქვეყნის მასშტაბით ამ კონკრეტული დარგის განვითარებას.

„თუ დავიანგარიშებთ, 1 ბოცვერი წელიწადში 4 ჯერ მანც გვაძლევს ნაყოფს, საშუალოდ 8 ბაჭიას ანუ ჯამში 32 ბაჭიას. თითოეულის საშუალო ღირებულება 30 ლარს შეადგენს. ამდენად, 1 ბოცვერი 960 ლარს გვაძლევს, ხოლო თავად დედა ბოცვერი წელიწადში საშუალოდ 60-80 ლარის საკუებს მოიხმარს. თუ 50 დედა ბოცვერი გვეყოლება, თავად დაფიქრდით რა შემოსავლის პატრონები შეიძლება გავხდეთ.“

ვფიქრობ, ამ საუკუნეში იმდენად განვითარდა ტექნოლოგიები, გაადვილებული ნებსმიერი სახის სამუშაო. მაგალითისთვის ავიღოთ ე.წ.

საწყურებლები, რომელიც ბოცვერს უზრუნველყოფს მუდმივ რეზიმში მიეროდებოდეს სამელი წყალი. მარტივია არა?! არადა, 2 წლის წინ თითო გალიაში უკულმა დამხობილი „პლასტმასის“ ბოთლებით მიეროდებოდა წყალი სათითაოდ გალიას. მათი ავსება, მით უფრო თუ დიდი ფერმა გქონდა, დამხმარე პერსონალის გარეშე სრულიად ნარმოუდგენელი იყო. იგივე შეიძლება ითქვას გაგრილების, საკვებ სისტემებზე... რაც შეეხება საჭირო პრეპარატებსა თუ მედიკამენტებს, რამდენიმე წლის წინ არ იშვებოდა ბოცვრის ვაქცინა, ანტიბიოტიკები... დღეს ეს პრობლემაც მოგვარებულია. „მომავლის ფერმერთა“ ვეტერინარებისგან მიღებული მაქს კვალიფიციური რჩევები, რაც მნიშვნელოვნად დამეხმარა ჩემი საქმიანობის სწორად ნარმართვაში. აქ არიან პროფესიონალები და ყველას ვურჩევ გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები“, – ამბობს ახალგაზრდა ფერმერი.

თორნიკეს აზრით, მებოცვრეობა და ზოგადად ფერმერობა რომ განვითარდეს, სასურველი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად დამეხმარა ჩემი საქმიანობის სწორად ნარმართვაში. ორჯერ მაინც გამოაცხადოს საგრანტო კონკურსი როგორც მცირე, ასევე დამწყები ფერმერებისთვის, რადგან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელია საკუთარი ფინანსებით ფერმის აშენება და კეთილმოწყობა.



„ჩემი მიზანია ფერმა გავაფართოვო, ვუზრუნველყო გათბობა-გაგრილების სიტემით და უცხოეთიდან შემოვიყვანო ახალი ჯიშები. დამწყებ ფერმერებს ვურჩევ, კარგად დაფიქტდნენ უნდათ თუ არა ფერმერობა, რადგან იყო ფერმერი ნიშნავს, ფიზიკურად და გონებრივად ყოველდღე

მუშაობდე. ასევე, კარგად გაეცნონ ბოცვრის მოვლის სპეციფიურობას როგორც თეორიულად, ასევე – პრაქტიკულად. ხშირია შემთხვევა, როცა დილეტანტი მოდის და მეუბნება, რომ 100 ან 200 საჯიშე ბაჭის უნდა და ამ დროს არაფერი იცის. ასე დაწყებული ბიზნესი ყოველთვის კრახს განიცდის,

ამიტომ ჯობს 5-10 ცალით დაიწყო, კარგად გაარკვიო რასთან გაქვს შესება და შემდეგ, როცა უკვე ცოდნა-გამოცდილებას დაიგროვებთ, მერე გადახვიდეთ სხვა ეტაპზე ანუ ფერმის გაფართოებაზე“, – აღნიშნავს თორ-ნიკე ჩიხლაძე და ფერმერებს საქმის სიყვარულისკენ მოუწოდებს.

## ლვა ლეი



ბატონ რეზო მახარობლიძეს ახლა-სან დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს ის ასაკია, საიდანაც ნათლად ჩანს მის მიერ განვლილი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის შუქ-ჩრდილები, დაბრკოლებები და მათი დაძლევისათვის გაწეული შეუპოვარი ბრძოლა, მიღწევები და წარმატებები. ეს არის დარბაისლური ასაკი, რომელშიაც მან ახალგაზრდული ენერგითა და უინით შეაბიჯა. რევაზ მახარობლიძე დაიბადა 1936 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში. წარმატებით დაამთავრა ჯერ ორბელის საშუალო სკოლა და შემდეგ ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე გამოავლინა მეცნიერებისადმი ინტერესი, სისტემატიურად გამოიდიოდა საინტერესო და ორიგინალური მოხსენებებით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე და ამიტომ აირჩიეს ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. ამ პერიოდში მისი, როგორც მკვლევარის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს პროფესორებმა მარგალიტა მჭედლიძემ, შალვა კერესელიძემ, ოთარ კაციტაძემ, სიმონ ჩიხიამ და დოცენტებამ უგენი დოლიძემ და გრიგოლ რაზმაძემ. ამ ადამიანებმა გაუკავლეს მას გზა მეცნიერების მწვერვალისაკენ. ინსტიტუტის დამთავრებისთანა-

## ლირსეული მაულიშვილი და მაცნერი რევაზ მახარობლიძე - 80

საქართველოს დაცვის მინისტრის ბატონის რავაზ მაცნერი რევაზ მარგალიტაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული აიროვარია. მისი სახელი ასოცირდება მეცნიერებისა და განათლების სისტემისას, ერთგული ზეორებასა და ცოდნასთან.

ვე იგი, როგორც საუკეთესო სტუდენტი, მაშინდელი პროფესიონალის შალვა კერესელიძისა და ფაკულტეტის დეკანის ოთარ კაციტაძის რეკომენდაციებით დატოვეს ლითონთა ტექნოლოგიისა და მანქანათა რემონტის კათედრაზე, სადაც მან 1961 წლამდე იმუშავა ჯერ უფროსი ლაბორანტის, შემდეგ კი ასისტენტის თანამდებობზე. ამავე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ქალაქ მინსკში არამავინანიადაგიანი ზონის მექანიზაციისა და ელექტრო-ფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1965 წელს ქალაქ კაუნასში ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში წარმატებით დაიცვა დისტაცია თემაზე „სასოფლო-სამეურნეო მასალების დეფორმაციებისა და მსხვრევის პროცესების გამოკვლევა“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1974 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით რევაზ მახარობლიძე, როგორც მაღალი დონის ახალგაზრდა და პერსპექტიული მეცნიერი, გადმოყვანილი იქნა თბილისში და დაინიშნა სამთა მინათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის მანქანების პერსპექტიული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1976 წელს იგი მუშაობას იწყებს საქართველოს კონსტანტინე ამირეჯიბის სახელობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მანქანების პერსპექტიული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 2000 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს კონსტანტინე ამირაჯი-

განყოფილების გამგედ. ეს პერიოდი მეტად ნაყოფიერი იყო მის მეცნიერულ მოღვაწეობაში. ის შეუდგა ინტენსიურ შემოქმედებით შემაობას და 1981 წელს დაიცვა საფოქტორო დისერტაცია იმ დროისათვის მეტად აქტუალურ თემაზე „დინამიკური პროცესები ჩაის საკრეფ და სასხლავ მანქანებში და მათი ოპტიმიზაცია“. ქართველი მეცნიერის ყველა მომდევნო ნაშრომი ეძღვნება სასოფლო-სამეურნეო მანქანების დინამიკას, მათი პარამეტრების ოპტიმიზაციასა და სამიედობის გაზრდას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მიმართულებით მან მთელი ეპოქა შექმნა. გამოქვეყნებული აქვს 400-მდე სამეცნიერო სტატია, 16 სახელმძღვანელო და მონოგრაფია, მიღებული აქვს 65 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე და პატენტი, რომელთა უმრავლესობა დანერგილია პრაქტიკაში. განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისათვის ბატონი რევაზი არჩეული იქნა ჯერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კადე-მისი ნევრ-კორესპონდენტად (1991 წ.), ხოლო შემდეგ – ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად (1992 წ.). 1994 წელს მიერიგა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხოლო 2006 წელს ცნობილი იქნა აგრარულ დარგში საქართველოს საუკეთესო მეცნიერად და გადაეცა შესაბამისი ფულადი პრემია. იგი დაჯილდოებულია ლირსეულის მოუწოდებელი რევაზის გვარის გადაეცა 2000 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს კონსტანტინე ამირაჯი-

2017 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს კონსტანტინე ამირაჯი-

ბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და, რომ იტყვიან, ახალი სული შთაბერა მის სამეცნიერო კვლევით საქმიანობას, პარალელურად მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის კათედრის გამგედ და ემსახურებოდა დარგის ახალგაზრდა მაღალკალიფიციური კადრების მომზადებას.

განათლება, შრომისმოყვარეობა და პატიოსნება ეს ის კრედოა, რო-

მელზედაც დაფუძნებულია ბატონი რევაზის ოჯახი და ამ ძვირფას ფასეულობებზე აღზარდეს მან და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ნუნუ მამულაშვილმა შვილებიც, რომლებიც თავიანთი განსწავლულობით, კეთილშობილებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. უფროსი ქალიშვილი მაკა ინჟინერ ტექნოლოგი და ტექნიკის აკადემიური დოქტორია, უმცროსი – ეკა კი მაღალი კვალიფიკაციის ექიმი. ჰყავს ასევე ორი შვილიშვილი – ელენე და გიორგი.

ვუსურვოთ ბატონ რეზოს ჯანმრ-

თელობას და ახალ-ახალ წარმატებებს მის მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობაში.

**მოსა ზაღალამიშ და ავგალ პაციტამი,**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური ტუნიკის მეცნიერებათა დოქტორები;

**ელგუჯა ვაზამიშ**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი

## 63რიც-63რიცი ამბეჭი

# სოფელში გაზრდილი კაცის ჩანაწერები



„შენ, საქართველოს  
გადამრჩეველი!“

ჩათესეს სიმინდი, გადაიწერეს პირველარი და სალობიერდ დაკვალულ ნაკვეთს მიადგნენ. მზე ნელ-ნელა იწევს მაღლა და გულმკერდს უთბობს მთელი კვირის ნაწვიმარ მინას.

– ჯერ „ბათუმურა“ ჩავთესოთ და თუ დარჩა ადგილი, მეორესაც მივაყოლებ, ამბობს ოჯახის დიასახლისი, რომელმაც ალიონზე წამოყარა ლოგინიდან ქმარ-შვილი და ახლა თავს დაფინფინებს აქაურობას.

– რად გინდა, ბოშო, გაგვხეთქავს ამდენი ლობიო!

– საყვედურობს ქმარი და თან ვაჟიშვილებს თვალს უკრავს – მხარი ამიბითო.

– კი... თქვენ რა გენალვლებათ, საჭმელს კარებში შემოსვლისთანავე ითხოვთ... ეს უსაშველო ზამთარი ლობიომ გაგვატანია... მოდით, მოდით, ჩათესეთ და მოკრჩეთ!..

– იცის კაცმა, ცამდე მართალი რომ არის ცოლი, ისიც იცის, ლობიომ მარტო მის ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს მოადგმევინა სული ამ გაჭირვების უამს. გაჭირვება კი, დღევანდელზე უარესი ბევრჯერ

ჰქონია ჩვენს ხალხს და ქვეყანას. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასე გულმსურვალედ შეაქო ლობიო დიდმა გიორგი ლეონიძემ: „შენ, საქართველოს გადამრჩნელო!“

## დაუდობელი „ზენა“ ძარი

მართალი უთქვამთ, მოსავალი ის არის, რაც ბედელშიაო. გლეხკაცის შრომა ხომ თითქმის მთლიანად ამინდის სიავეკარგებზეა დამოკიდებული.

ერთი კარდენახელის ნაამბობი მახსოვეს: „გავემზადეთ მთელი ოჯახი, ქალაქელი ნათესაობაც ჩამოსულია, დილით ადრე უნდა გავიდეთ ყურძნის საკრეფად. თქვენ მტერს, იმ ღამით სეტყვა მოვიდა!.. სულ მაჭრის ლელები მოდიოდა ჩვენი განადგურებული ვენახს ზვრებში...“

ა, ბატონო: რა იმედი ჰქონდათ ჩემ მეზობლებს, ნლეულს მაინც სამყოფ სიმინდს მოვინევთო, დაგვინდოს იქნება ცოტა ხნით ქარცხელმაო.

არ დაინდო, არც ნლეულს დაინდო ბუნებამ გლეხობა. ამოვარდა ალიონზე, მზეს ამოჰყვა ამ კუთხის დამაქცევარი „ზენა“ ქარი, ქარი კი არა ქარაშოტი წამოგრიალდა რიონის ხეობიდან და ორი დღე-ლამის განმავლობაში თითქმის ორმოც გრადუს სიცხეში იბატონა ზღაპრული ურჩეულივით, მესამე დღეს კი სადღაც ჩაეშვა და წლის მოსავლის ნამუსრევი დაუტოვა ჩემ საცოდავ სახლიკაცებს. მინაზე დაშვებული ხილი, მოსარგალებული, ჩანოლილი, ჩახლენილი სიმინდის ყანები – ზოგი უკვე ჩატაროებული და ასაღებ-დასაბინავებლად გამზადებული, პამიდვრის მოსავალი განადგურებული...

... დანა პირს არ უხსნიდა სახლიკაცებს. მიცვალებულის ჰატრონებივით დადინა. „ნორმალური ქვეყნის მთავრობა ჩამოვიდოდა, გაამხნევებდა, რაღაც ერთჯერად დახმარებას გაუწევდა ამ ხალხს...“ – ვფიქრობ ჩემთვის.

„მანიც ხვალის იმედი აქვთ ჩემ მეზობლებს. ღმერთო, ხელი მოუმართე!“

## უჩა გეგუჩაძის ცხოვრების ძრონიკა

ჭასთან ახლოს დაუზვინია ოხრა-ხუში უჩა გეგუჩაძეს. დღეს, მთელი დღე, წვიმაში, სიცივეში არც თავი დაზოგა, არც ცოლ-შვილი და – მოასწრო შელამებამდე – ერთიანად აიღო მწვანედ მოღალანე იხრახუში სახლუკან ფართობში.

ახლა თვითონ უჩა წყალს იღებს ჭიდან, გოგო-ბიჭებს კი კონა-კონა უჭირავთ ოხრახუში და ვედროს უშვერენ – რეცხავენ, ასუფთავებენ ბოსტნეულს.

ალიონზე მანქანა მოადგა ჭიშკარს. მეზობელმა გამოუარა უჩას. ხმაურით, ხვენეშით, გიხებით ტვირთავენ მანქანას და ქუთასიში, ბაზარში მიაქვთ ოხრახუში.

... კაი გათენებულია, სანოლიდან ვდგები, სახლის აივანზე გამოვდივარ



და... რას ვხედავ: უჩას ეზოში ახლა  
ქუჩის პირას დგას ოხრახუშის ზეინი,  
მისდგომია ზედ ძროხა თავისი ხბო-  
ებით დ გემრიელად შეექცევა, თან  
მალი-მალ კუდს იქნევს, ბუზებს იგე-  
რიებს. უჩა სახლის წინ წამოქვდარა,  
„ასტრას“ აფუტებს.

— რა იყო, ბიჭი, ამისთვის დახოცე  
გუშინ ცოლ-შვილი?! — შევეხმიანე  
მეზობელს. უჩაბ გადმომხედა, „ას-  
ტრის“ მწივი მოისაროლა: — შაყი-  
რობ?! არ უნდათ ეს ძირდასაწვავი  
და, ძალაა?! კოლო 10 კაპიკადაც  
(„თეთრს“ „კაპიკს“ ეძახის) არ დაი-  
ტოვა გამყიდველმა! ბაზარში კი ვე-  
ლარ შევდივა, ჩვენი ადგილი აღარ  
არის, ვაჭრებს და გამყიდვებებს  
აქვთ იქაურობა და კავებული. ბაზრის  
მაფია ბატონობს, ხებადართულია  
ყაჩაღობა... არ ვიცი, რას ფიქრობს  
ეს მთავრობა — გლეხმა სიმწრით მო-  
ნეული მოისავალი ვეღარ გაყიდოს?!  
დეიდაშვილის ქორწილია ზეგ — ერ-  
თი-ორი კაპიკი ხო მინდა... ახლა საღა  
ნავალ... დეიდაშვილობაც დეიკარგა  
და ბიძაშვილობაც... ე, შეხედე, ძრო-  
ხავ აღარ ჭამს უკუკი!

— მარილი უნდა მოუყარო ზედ, მარილი!

ԵԵՊՅԵ



იგი დაიბადა 1941 წლის 29 აპრილს ალექსი ბუჩუკურის, მეცხოველეობის დარგში ცნობილი მეცნიერის და პედაგოგის, და მხატვარ თამარ კეჩხუაშვილის ოჯახში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. სწავლა გააგრძელა ქ. მოსკოვში მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1971-1979 წლებში, მუშაობდა სამთო მინათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ტექნოლოგიური პროცესების

— ეეეჲ... რა გიშავთ ქალაქელებს, პროდუქტი თავზე საყრელად გაქვთ! გადმოდი აქეთ, ვხუხოთ თითო, საშველი მაინც არ არის!

## პანარეგა გუბისცხალზე

უთენია მედაბის აჩიკო – ჩემი ბიძაშვილი: მივდივარ უკვე ნაკვეთში, წამოდი თუ წამოხალო. სახნაგა-სათესი ფართობები ოდითგანვე გუბისწყლის პირზე ჰქონდა ჩემი სოფლის გლეხე-კაცობას. მაშინ კოლექტივის იყო ეს მიწები, ახლა ზოგი საკუთრებაა, ზოგიც იჯარითა აღებული. ჯერჯერობით, როგორც საერთოდ იმერეთში, აქაც საუკეთესო სიმინდის ყანებია, ზოგან საზამთრო დაუთესავთ, ზოგან კიტრი, ზოგს ბადრიჯნის ნერგიც დაურგავს და ახლა კოლორადოს ხოჭოს გამო იღუპება მოსაგალი. გავერიეთ საქმეში – ვწამლობთ ბადრიჯნანს, უკვე მოშუადლევებულა კიდეც. მზე დაუნდობლად აჭერს.

— ნამო ახლა, ჩავიდეთ ხიდქევეშ და  
გავგრილდეთ (კოტა), — აჩიკოვ ჩანთას  
იღებს და მდინარის ხიდისკენ ვეშვე-  
ბით.

— ამ ოცდახუთი წლის წინათ კაკო  
ელიავას ბუნტმა პოპულარული გა-

ხადა გუბისლნეალი. წარმოიდგინეთ, უცხოურმა ტელეკომპანიებმაც კი უჩვენეს რამდენჯერმე 1993 წლის 28 ოქტომბერს ქართველთა დაპირისპი-რების ამსახველი სიუჟეტები. აი, ამ „ვაჟკაცობის“ კვალი – ჯერაც მოა-ჯირგადანგრეული ხიდი.

— იმ დილით სოისა ასაღებად მოვე-  
დით აქ მეზობლები, — მიყვება აჩიკო, —  
ცოტა ხანში, რას ვხედავთ, ტანკებით  
და სამხედრო მანქანებით გაისვი გზა,  
ხოლო სრიღლა რომ ატყდა, ვიკადრეთ  
და მივატოვეთ საქმე, მოვუსვით სოფ-  
ლისკენ. მაგრამ როგორ გინდა ხიდზე  
ახვიდე — სამხედროებს აქვთ დაკავე-  
ბული. არადა, ფრნი შორსაა.

ერთი ხანობა ყველაფერი მიწყნარ-  
და, ფრთხილად გამოვედით გზაზე  
და ქუთაისიდან მომდგარმა „ჩვენებ-  
ძა“ სულ „ჩქარა“ „ჩქარას“ ყვირილით  
გაგვარიდეს იქაურობას...

... უკვე გავსებულა ხალხით მდინარის სანაპირო... წყალი არც ისე ღრმაა, ერთიანად კამკამი გაუდის და ვხედავთ, როგორ დასრიალებენ ლილიტები ჩეკენ გარშემო.

## მოლექ გარდაბეჭივილი

ვებგვარის განვითარები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიცნარებაზე კიდევ ერთი ღირსეული ტარიღია დარგი დარგი. გარდაიცვალა აგროსაბურგო დარგის გამოჩენილი მეცნარი და პედაგოგი, მეცნიერის მეცნარებათა დოკტორი. პროფესიონალური კურსების დაწყების დროის განვითარების მიზანით დაგენერირდა მეცნარების მეცნარება.

კატეგორიაზირდების განყოფილების გამ-  
გედ, ხოლო 1979 წლიდან საქართვე-  
ლოს. ზორვეტერინარულ ინსტიტუტ-  
ში დოკუმენტის თანამდებობაზე. 1991  
წელს აღნიშნულ ინსტიტუტში მცცხო-  
ველების პროდუქტების გადასამუ-  
შავებელი მანქანა-მოწყობილობების  
კათედრის ჩამოყალიბებასთან ერ-  
თად დაინიშნა ამ კათედრის პირველ  
გამგედ. აღნიშნულ თანამდებობაზე  
მუშაობდა 2005 წლამდე. 2005 წელს  
ზორვეტერინარული უნივერსიტეტის  
აგრარულ უნივერსიტეტთან გაერთი-  
ახების შემდეგ ბატონი ვაჟა დაინიშნა  
სოფლის მეურნეობის პროდუქტების  
გადასამუშავებელი მანქანა-მოწყო-  
ბილობების კათედრის გამგედ და ამ  
თანამდებობაზე მუშაობდა მანამ,  
სანამ აგრარულ უნივერსიტეტში არ  
გაუქმდა ტექნიკური სპეციალობების  
კათედრები.

ბატონ ვაჟას გამოქვეყნებული  
ჰქონდა 90-მდე სამეცნიერო ნაშრომი,

რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების მანქანა-მოწყობილობებს. სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იყო სახალხო მეურნეობების მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლებით, ხოლო 1998 წელს – „ლირსების ორდენით“.

პროფ. ვაჟა ბუჩქურის მიერ განვ-  
ლილი ცხოვრების გზა ნათელი ნიმუ-  
შია, თუ როგორ უნდა იცხოვო ადა-  
მიანმა ოჯახის, ახალგაზრდა თაობის  
და პროფესიის სიყვარულით ქვეყნის  
საკეთილდღეოდ. მიტომ მისი ნა-  
თელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება  
იმათ გულებში, ვინც პროფ ვაჟა ბუ-  
ჩქურს იჯნობდა.

အသာဇ် ဒုသ ဖုန်းလှိုင် ရွှေ  
ခြားများ ပါမဲ့ စိတ်ခိုင်၊  
စာဌာနတွေ့ကြေား ပြောလိုက်  
မြေပြန်ရေးပါတယ် အားလုံး  
မြေပြန်ရေးပါတယ် အားလုံး

# გამოიცერთ ზურნალი

## მბრძანებელ სესაქცეცმა!

ერთი წლით ზურნალზე ხელმოწერის ღირებულება  
შეადგინს 24 ლარს,  
ნახევარი წლით – 12 ლარს.

ხელმოწერის გაფორმება შესაძლებელია პრესის  
გავრცელების სააგენტოს მიზანზით:

„ელვა პი“ (ტელ.: (032) 238 26 73; (032) 238 26 74);  
ან

ზურნალ „აგრარული საქართველოს“ რედაქციაში.

თბილისი, გორგასლის ქ.№51,  
ტელ.: 599 16 18 31.

ელ.ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

VALTRA



Merry Christmas and  
Happy New Year!

2017

YOUR  
WORKING  
MACHINE



WORLD TECHNIC  
სამზღვო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge  
2 90 50 00 2 18 18 81

2017 წელი  
საბურავის წელი!